# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.




დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 9 ივლისი, 2010 წელი.

№128 (6494)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge | ვებ გვერდი: www.open.ge | ფასი 50 თეთრი.



## ვინ წაუშუშა მერაბიშვილს ნოღაიდელის დაპატიმრების გეგმა? ②

**ვანო იმ თითებს ათამაშებს ნერვიულად, რომლებიც აქამდე უნდა მოემტვრია ზურაბს**



## ძალაუფლებაზე გადარეული პრეზიდენტისგან ყველაფერი მოსალოდნელია ⑤

## ხელისუფლება აფრასიძეების წინააღმდეგ ②



## რა არგუმენტებით ფუთავს დარჩიაშვილი რუსეთთან ფაქტობრივ კაპიტულაციას? ④

## ⑦ რა უნდა ვიცოდეთ მშობლებისა და შვილების სამართლებრივ ურთიერთობაზე

## რა უფრო მოეწონებათ ბავშვებს, რეალური სახელმძღვანელო თუ ვირტუალური „ბუკი“? ③

## მიიღებს თუ არა საქართველო უშიშროების გარანტიებს თავის ამჟამინდელ ფაქტობრივ საზღვრებში? ⑧

## ქართული კულტურის შავი ხუთშაბათი

### გარდაიცვალა ფრიდონ ხალვაში



დაბადების 85 წელი საბედისწერო გამოდგა ფრიდონ ხალვაშისთვის, დიდებული ქართველი მწერლისთვის... 17 მაისს თბილისში, რუსთაველის თეატრის სცენაზე, ამ თარიღის აღნიშვნისას მას თავის თვალწინ სასიკვდილოდ წაექცა მეგობარი, დიდი პოეტი — მუხრან მაჭავარიანი, რომელსაც სულ რამდენიმე წუთიც რომ დასცლოდა, ასე დაასრულებდა იუბილარისადმი მიმართვას: „ჭეშმარიტ პოეტს, მხურვალე მამულიშვილს, დაუცხრომელ საზოგადო მოღვაწეს, ჩემს ძველ მეგობარს ფრიდონ ხალვაშს სულითა და გულით ვულოცავ დაბადებიდან 85 წლისთავს და ვუსურვებ, კვლავაც მრავალგზის გაეხარებინოს ქართველი კაცის გული თავისი ლექსითა თუ პროზით“... მაგრამ ვაი, რომ მუხრანისთვის ჩვეულ ამ ალალ სიტყვებს თურმე არც თქმა ეწერა და არც ასრულება. თუმცა, თავისი მართლაც დიდი შემოქმედებით ფრიდონ ხალვაშმა ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე იმდენჯერ გაახარა ქართველი კაცის გული, და არა მარტო ქართველის, რომ მკითხველთა ამ გახარებულ გულებში არასოდეს არ განელდება მისი, როგორც ჭეშმარიტი შემოქმედის, წრფელი სიყვარული.

დღეს სწორედ ამ წრფელმა სიყვარულმა დაამწუხრა სრულიად საქართველო კიდევ ერთი ღირსეული ქართველის — რუსთაველის პრემიის ლაურეატის ფრიდონ ხალვაშის გარდაცვალების გამო, რომელიც პირნათლად ვალმოხდილი მიუვა თავის დიდ წინაპართ.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია

### ვემშვიდობებით ბიძინა კვერნაძეს



8 ივლისს ქართული კულტურის მართლაც შავი ხუთშაბათი გათენდა... ჯერ იყო და ფრიდონ ხალვაშის გარდაცვალების გამო ცრემლი არ გვქონდა შემშრალი, რომ გამოჩენილი კომპოზიტორის, საქართველოს სახალხო არტისტის, რუსთაველის პრემიის ლაურეატის ბიძინა კვერნაძის სიკვდილის ამბავი შევიტყვეთ.

ბიძინა კვერნაძის შემოქმედება ბოლო თითქმის სამოცი წლის მანძილზე გულში ჩამწვდომ მელოდიასთან, ფრინველივით ლაღ სიმღერასთან ასოცირდება, ლაღი სიმღერა კი არასოდეს არ კვდება თავის შემქმნელ ავტორთან ერთად.

ბიძინა კვერნაძის საყვარელი სახელი ხალხის გულთან შეხმიანებულ სიმღერასავით უკვდავია.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია

◉ „სახალხო სასამართლო"

# ხელისუფლება აფრასიძეების წინააღმდეგ




პროექტმა „სახალხო სასამართლომ" მეორე (აფრასიძეები ხელისუფლების წინააღმდეგ) საქმე წარმოებაში ივნისის დასაწყისში მიიღო, თუმცა გარკვეული პროცედურების გაუთვალისწინებლობის გამო აფრასიძეების საქმის პირველი სრულყოფილი მოსმენა მხოლოდ გუშინ გაიმართა. პირველ პროცესზე ბრალდების მხარემ წამოაყენა შუამდგომლობა, რომ ამჯერადაც გაეგზავნათ წერილი ხელისუფლებისთვის ისე, როგორც ეს ვაზაგაშვილის საქმის განხილვის დროს მოხდა, რათა თავისი ადვოკატი დაენიშნა. გუშინ კი ხელისუფლებისთვის მიცემული ათდღიანი ვადა ამოიწურა. როგორც მოსალოდნელი იყო, ხელისუფლებამ ამჯერადაც უყურადღებოდ დატოვა ხალხის, საზოგადოების შეთავაზება, ამიტომ „სახალხო სასამართლომ" დაუყოვნებლივ გააგრძელა



აფრასიძეების საქმის განხილვა. ბრალდების მხარეს მიაჩნია, რომ აღნიშნული საქმე უმძიმესი და უპრეცედენტოა, რადგან ხელისუფლების პირველ პირთა ინიციატივით და უშუალო მონაწილეობით, სამართლებრივ მოთხოვნათა და დემოკრატიის ძირითად პრინციპთა სრული იგნორირებით განხორციელდა ფაქტობრივად სადამსჯელო ოპერაცია საკუთარი მოსახლეობის მიმართ. ექსპერტთა აზრით, ოპერაცია მიზნად ისახავდა დაშინებას და რაოდენ მძიმე დამნაშავენიც არ უნდა ყოფილიყვნენ აფრასიძეები, ხელისუფლებამ მათ მიმართ ბევრად უფრო მძიმე, სერიოზული და გაუმართლებელი დანაშაული ჩაიდინა.

საბოლოო დასკვნას და ვერდიქტს, რა თქმა უნდა, სახალხო მოსამართლე მინდია უგრეხელიძე და ნაფიცი მსაჯულები გამოიტანენ, მაგრამ ვერდიქტზე არანაკლებ მნიშვნელოვანი თავად სასამართლოს მიმდინარეობა და მხარეთა პაექრობაა. ბრალდების მხარეს ადვოკატები გელა ნიკოლაიშვილი და მალხაზ ჯანგირაშვილი, ხოლო დაცვის მხარეს მათი კოლეგები, ელგუჯა ახალაია და ვახტანგ ნაყოფია წარმოადგენენ. ბრალდება მოიცავს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 — სიცოცხლის უფლება, მე-3 — წამება, მე-6 — სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევა, მე-8 — პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება, მე-13 — სამართლებრივი დაცვის უფლება და მე-14 — დისკრიმინაცია, მუხლებს.

რაც შეეხება თავად აფრასიძეების საქმეს. ყველას კარგად ახსოვს რამხელა სიამაყის მიზეზად იქცა ხელისუფლებისთვის და განსაკუთრებით პრეზიდენტ სააკაშვილისთვის, 2004 წლის 24 მარტს მესტიის რაიონის სოფელ ეცერში ჩატარებული სპეცოპერაცია, რომელმაც ზემო სვანეთში მძიმე კრიმინოგენური სიტუაცია გარკვეულწილად მოაგვარა. ყოველ შემთხვევაში ხელისუფლება ამაში გვარწმუნებდა.

აფრასიძეებზე საქართველოში ლეგენდები დადიოდა, მათ მიაწერდნენ გახმაურებულ კრიმინალურ შემთხვევებს, სვანეთში ხე-ტყისა და ნარკობიზნესის ლობირებას. ერთი შეხედვით, „ვარდების რევოლუციის" შემდგომ მოსული ხელისუფლებისთვის სვანეთში მდგომარეობის გამოსწორება პრესტიჟის საკითხად იქცა. ყველაზე უკეთ კი საზოგადოების თვალში ავტორიტეტის ამაღლება აფრასიძეების განეიტრალებით იქნებოდა შესაძლებელი. მართალია, ბევრს არ სჯეროდა და არც ახლა სჯერა ამ ოჯახის წევრების სუფთა წარსული, მაგრამ ხელისუფლების მხრიდან გამოყენებულმა მეთოდებმა სპეცოპერაციის დროს და მას შემდეგ განხორციელებულმა ქმედებებმა ბევრი ეჭვი და უსამართლობის შეგრძნება გააჩინა.

„სახალხო სასამართლოში" ბრალდების მხარე სწორედ ხელისუფლების მხრიდან არაპროპორციული ძალების გამოყენებას უსვამდა ხაზს. დაცვის მხარეს საპირისპირო არგუმენტად, სპეცოპერაციის დროს შესაძლო გართულებების თავიდან აცილება წარმოადგინა.

უნდა ითქვას, რომ სპეცოპერაციის მასშტაბები საქმის მასალების მიხედვით მართლაც უზარმაზარია. სულ ოპერაციაში მონაწილეობდა 1000 ფიზიკური პირი — შინაგან საქმეთა სამინისტროს გულუა სახელობის სპეცრაზმი, შინაგანი ჯარის ანტიტერორისტული დანაყოფი, სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის მთელი პირადი შემადგენლობა და სპეცრაზმი. სპეცოპერაციას კი უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ მაშინდელი შსს მინისტრი გიორგი ბარამიძე, უშიშროების საბჭოს მდივანი ვანო მერაბიშვილი და იუსტიციის მინისტრი ზურაბ ადეიშვილი.

კიდევ ერთი ფაქტი, რომელზეც ბრალდების მხარემ ყურადღება გაამახვილა, არის ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნა, რომლის მიხედვითაც სპეცოპერაციის შედეგად ამოღებული იარაღი გამოსაყენებლად უვარგისია. შესაბამისად აფრასიძეებს არ შეეძლოთ შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევაო. ეს დასკვნა გამოიტანა ბრალდების მხარემ. დაცვის მხარემ ამ შემთხვევაში ხაზი გაუსვა, რომ ექსპერტიზაში არ არის და ვერც იქნებოდა მითითებული ეს იარაღი სპეცოპერაციამდეც დაზიანებული იყო თუ არა, ექსპერტიზის დასკვნაში მითითებულია, რომ იარაღის დაზიანება გამოწვეულია აალების ან სხვა მსგავსი შემთხვევის გამო, ანუ იარაღი შეიძლებოდა მას შემდეგ დაზიანებულიყო, რაც სპეცოპერაციის შედეგად აფრასიძეების საცხოვრებელი განადგურდა. ეს უკვე დაცვის მხარის ვერსიაა.

ბრალდების მხარე ამტკიცებს, რომ აფრასიძეების ოჯახის მიმართ მიზანმიმართულად განხორციელდა რიგი სამართალდარღვევები — მათ შორის საცხოვრებლის უკანონო ჩხრეკა, ფიზიკური ან მორალური შეურაცხყოფა როგორც მიცვალებულების, ასევე ოჯახის ცოცხლად დარჩენილი წევრების მიმართ. სპეცოპერაციის დროს სახლში იმყოფებოდა 5 მამაკაცი, რომელთაგან ორი — ევგენი და ომეხ აფრასიძეები — მოკლეს, 4 მცირეწლოვანი ბავშვი და სამი ქალი. დამატებით მტკიცებულებებს ბრალდების მხარე შემდგომ პროცესზე წარმოადგენს, რომელიც 12 ივლისს გაიმართება.

საზოგადოებაში გამოწვეული რეზონანსის გამო იყო ამ საქმის მიჩქმალვის მცდელობები, დარჩა უამრავი პასუხგაუცემელი კითხვა, ამჯერად კვლავ სასჯელს იხდიან გოჩა და შმაგი აფრასიძეები, ნიშანდობლივია, რომ ამ უკანასკნელის მიმართ სპეცოპერაციის მომენტში არანაირი ბრალდება არ არსებობდა. სიმართლის დასადგენად დარჩა ერთადერთი გზა — „სახალხო სასამართლო", რომლის ამ საქმესთან დაკავშირებული მოსმენები, ვფიქრობ, არანაკლებ ინტერესს გამოიწვევს.

ანა წიწილაშვილი

◉ ინფორმაცია

## ოკუპანტებმა ქართულ სოფლებს წყალი გადაუკეტეს

ე.წ. სამხრეთ ოსეთთან სიახლოვეს მდებარე ქართულ სოფლებს რუსეთის საოკუპაციო ჯარმა უკვე ერთი თვეა სარწყავი წყალი ჩაუკეტა.

განსაკუთრებით რთული ვითარებაა სოფლებში ოძისსა და ლამისყანაში, რომლის მოსახლეობასაც ნათესები და ვენახები გაუნადგურდათ.

ქართული მხარის ინფორმაციით, მიუხედავად მათი მცდელობისა, ცხინვალის მარიონეტული რეჟიმი მოლაპარაკების დაწყებაზე უარს აცხადებს და წყლის გაცვლას ბუნებრივ აირში ითხოვს.

ამასთან, მიმდინარეობს სასმელი წყლის ალტერნატიულ წყალსადენზე მუშაობა, რადგან მოსახლეობა სასმელი წყლის გარეშეც არ დარჩეს.

## „თელასი" ტარიფის გაზრდას არ აპირებს

კომპანია „თელასის" ელექტროენერგიის სამომხმარებლო ტარიფის შესაძლო გაზრდასთან დაკავშირებით გავრცელებული ინფორმაცია უსაფუძვლოა და საზოგადოება შეცდომაში შეჰყავს.

კომპანია „თელასი" საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში საქმიანობს და მომხმარებლებთან ანგარიშსწორებას საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ დადგენილ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისად ახორციელებს. სატარიფო განაკვეთების გადახედვასთან დაკავშირებით სს „თელასს" მარეგულირებელი კომისიისთვის არ მიუმართავს.

კომპანია ბოლო 7 წლის განმავლობაში სტაბილური სატარიფო პოლიტიკის პირობებში მოღვაწეობს და ელექტროენერგიის საფასურში თავისი წილის შეცვლას 2015 წლამდე არ გეგმავს.

ჯი-ეიჩ-ენი

◉ ბრიფინგი

# ვინ ჩაუფუშა მერაბიშვილს ნოღაიდელის დაპატიმრების გეგმა?

## ვანო იმ თითებს ათამაშებს ნერვიულად, რომლებიც აქამდე უნდა მოემტვრია ზურაბს

**ადგილობრივი არჩევნების დამთავრებისთანავე, პირველივე კვირას, ცნობილი ბიზნესმენი ვანო ჩხარტიშვილი საქართველოდან გაიქცა. მაშინ ქართული მედია დიდხანს ეცადა, ამოეცნო თუ რა იყო ამის მიზეზი, თუმცა უტყუარი მტკიცებულების მოპოვება რთული აღმოჩნდა. ოფიციოზიც სდუმდა.**

რუსეთის ფედერაციიდან დაბრუნებული ზურაბ ნოღაიდელი კი თავს სდებს, ვანო ჩხარტიშვილი სწორედ ჩემს გამო გახდა იძულებული, ქვეყანა დაეტოვებინაო. ამის შესახებ თურმე ზურაბ ნოღაიდელს მოსკოვში უამბო საქართველოში მცხოვრებმა ქართველმა, თუმცა ყოფილი პრემიერი წყაროს არ ასახელებს.

მან გუშინ საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე აღნიშნა: „**არჩევნების დამთავრებისთანავე ვანო მერაბიშვილმა და ზურაბ ადეიშვილმა ჩემს წინააღმდეგ საქმის შეთითხვნა გადაწყვიტეს, ანუ ჩემი დაპატიმრების გეგმა უკვე მზად იყო. ვანო ჩხარტიშვილს მოსთხოვეს, ჩემს წინააღმდეგ ბრალდება წამოეყენებინა, თითქოს პრემიერ-მინისტრობის დროს მისგან ქრთამი ავიღე. ამაზე მან უარი უთხრა და ქვეყანა დატოვა. ამის შემდეგ მისი ოჯახის წევრები 21 დღე მძევლად ჰყავდათ და ვანო ჩხარტიშვილზე იძულებისთვის იყენებდნენ, მაგრამ მეუღლემ, ქალიშვილმა და შვილიშვილმა როგორღაც მოახერხეს საზღვარზე გადასვლა**".



ნოღაიდელი ამბობს, რომ ამის შესახებ მას იმთავითვე ჰქონდა ინფორმაცია, თუმცა მოსკოვში ჩასვლის შემდეგ ჩხარტიშვილს ტელეფონით ესაუბრა და დეტალები გადაამოწმა. ჩხარტიშვილმაც ინფორმაცია დაუდასტურა.

რატომ მაინც და მაინც ვანო ჩხარტიშვილი? — ნოღაიდელი ირწმუნება, პასუხი არა მაქვსო, და ასეთი ნიუანსების გარკვევას მედიას ვანო მერაბიშვილთან ურჩევს. მართლაც, ბევრი კითხვა არსებობს თავად ვანო ჩხარტიშვილის საქმესთან დაკავშირებით: იძიებს თუ არა მას ქართული მართლმსაჯულება, რა ბრალდებას უყენებენ ან უყენებენ თუ არა საერთოდ, სად იმყოფება ის და მისი ოჯახი ამჟამად, რა ბედი ეწია მის ბიზნესს და ა.შ. ნოღაიდელს ამაზე საკმარისზე მეტი ინფორმაცია აქვს რეალურად, მაგრამ პრესკონფერენციაზე ბანქოს ბოლომდე გაშლა არ ისურვა. უბრალოდ, კიდევ ერთხელ დაიმუქრა: **„ძალიან ცდებიან, თუ ჰგონიათ, რომ შევშინდები და ბრალდებების წაყენების შემდეგ ვინმეს ბოდიშს მოვუხდი. ჩემი პრემიერობის დროს არანაირი კანონსაწინააღმდეგო ქმედება არ ჩამიდენია. ამიტომ კარგად უნდა იცოდნენ მერაბიშვილმა და ადეიშვილმა, რომ ჩემს წინააღმდეგ ჩვენების მიცემა ასე ადვილი არ არის"**.

ნოღაიდელის ინფორმაციით მსგავსი მცდელობა აქამდეც ჰქონდა ხელისუფლებას, მაგრამ „ყველა იყო უაზრო და კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ".

ზურაბ ნოღაიდელი ზოგადად ქართული პოლიტიკის სიურპრიზია. თუ ის ადრე ცნობილი იყო, როგორც ხისტი მინისტრი, ახლა უკვე უხეში ლიდერის სტატუსი აქვს. ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ არავის და არაფრის ეშინია, მით უფრო ვანო მერაბიშვილის. მაგრამ აშკარაა, რომ ის სააკაშვილს პუტინთან „ჩახუტებით" უფრო აღიზიანებს, ვიდრე აშინებს; სავარაუდოდ, მერაბიშვილიც როდია უმოქმედოდ. ვანო თავის კაბინეტში ზის, მაგიდაზე იმ თითებს ათამაშებს ნერვიულად, რომლებიც ნოღაიდელს აქამდეც უნდა მოემტვრია და სერიოზულ გეგმებს აწყობს.

ზურაბ ნოღაიდელს თითქოს მერაბიშვილისა არ ეშინია, მაგრამ ვანო ჩხარტიშვილი აშკარაა, საგონებელში რომ ჩააგდო შინაგან საქმეთა მინისტრმა... ვინ შეიძლება იყოს შემდეგი?!

თეა მოსია

ვიზიტის შემდეგ



***აღმოსავლეთ ევროპისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ჰილარი კლინტონის ვიზიტის შედეგებზე „ინტერპრესნიუსი“ სომეხ პოლიტოლოგს, გლობალიზაციისა და რეგიონულ კვლევათა ცენტრის ხელმძღვანელს, სტეფან გრიგორიანს ესაუბრა.***

# „თბილისს, ბაქოსა და ერევანს სრული საფუძველი აქვთ, კლინტონის ვიზიტი სხვადასხვაგვარად შეაფასონ“

**— ბატონო სტეფან, როგორ შეაფასებდით აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ჰილარი კლინტონის ვიზიტს სამხრეთ კავკასიაში?**

— უდავოა, რომ ვიზიტი უკრაინასა და სამხრეთ კავკასიაში, პოსტსაბჭოთა სივრცეში აშშ-ის პოზიციების შესუსტებას უკავშირდებოდა. ამ სივრცეში ვაშინგტონის პოზიციების შესუსტების მიზეზი იყო საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის მიერ წარმოებული ომი 2008 წლის აგვისტოში, შემდეგ უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნები, რომელშიც კრემლის ფავორიტმა გაიმარჯვა.

აგვისტოს ომის დროს აშშ-მა საქართველოს პოლიტიკური მხარდაჭერა კი აღმოუჩინა, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა საქართველოს უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. საქართველოს გარდა, უკრაინაშიც აღარ დარჩნენ გულუბრყვილო ადამიანები. ნებისმიერ უკრაინელ მოქალაქეს რომ ჰკითხო, გეტყვის, რომ საპრეზიდენტო არჩევნები ტიმოშენკომ მოიგო. აღმოსავლეთ უკრაინის რაიონებში იმდენად დიდი იყო არჩევნების გაყალბების დონე, რომ დასავლეთის მიერ უკრაინის არჩევნების დემოკრატიულ არჩევნებად გამოცხადება სხვა არაფერი იყო, თუ არა პოლიტიკური ფარსი. რბილად რომ ვთქვათ, დასავლეთმა, და ნაწილობრივ ამერიკამაც, ტიმოშენკო „ჩაუშვა“ და მასთან ერთად უკრაინა მოსკოვს ჩააბარა. ასეთ ფონზე კლინტონის ვიზიტი პოსტსაბჭოთა სივრცეში აშშ-ის შესუსტებული გავლენისა და პრესტიჟის გაძლიერებისთვის დაიგეგმა და განხორციელდა.

**— გასაგებია, რომ კლინტონის ვიზიტს წინ სწორედ ასეთი მოვლენები უძღოდა, მაგრამ რაც შეეხება მის შედეგებს?**

— დარწმუნებული ვარ, თბილისს, ბაქოსა და ერევანს სრული საფუძველი აქვთ, კლინტონის ვიზიტი სხვადასხვაგვარად შეაფასონ. ჩემი აზრით, კლინტონის მიერ თბილისში გაკეთებული განცხადებები საკმაოდ არაადეკვატური იყო იმ ვითარებისა, რომელშიც საქართველო იმყოფება. ძალიან მნიშვნელოვანი იყო სწორედ თბილისში იმის თქმა, რომ აშშ მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, ნატოში სწრაფვას, არასდროს არ აღიარებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას. ძალიან კარგია, რომ ვაშინგტონმა საქართველოს მიმართ სწორი პოზიცია გაახმოვანა, მაგრამ კლინტონის მიერვე სომხეთისა და აზერბაიჯანის, ასევე, ყარაბაღის მიმართ გაკეთებულმა განცხადებებმა აშშ-ს ბაქოსა და ერევანში დივიდენდები ვერ შესძინა.

**— ბატონო სტეფან, იქნებ დააზუსტოთ, რატომ?**

— მაგალითად, სომხეთ-აზერბაიჯანის საზღვარზე 18 ივნისის ღამეს მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით, რომლის დროსაც ორივე მხრიდან საკმაოდ ბევრი ადამიანი დაიღუპა, ქალბატონმა კლინტონმა პასუხისმგებლობა ორივე მხარეს თანაბრად დააკისრა. გაუგებარი და გასაკვირი იყო მის მიერვე ერევნის მისამართით გაკეთებული მოწოდება თურქეთთან საზღვრის გახსნის თაობაზე. ეს მაშინ, როცა ყველამ იცის, რომ სომხეთ-თურქეთის საზღვარი თურქეთს აქვს ჩაკეტილი და ერევანი მზად არის, ამ საკითხში ითანამშრომლოს ანკარასთან. იმის გამო, რომ აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა 18 ივლისის ინციდენტთან, მთიანი ყარაბაღისა და სომხეთ-თურქეთთან დაკავშირებით მკაფიო პოზიცია არ დააფიქსირა, კლინტონის ვიზიტს სომხეთში აშშ-ისათვის დივიდენდები არ მოუტანია. ქალბატონ კლინტონს მკაფიოდ უნდა შეეფასებინა სომხეთსა და აზერბაიჯანში დემოკრატიის განვითარების დონე, ადამიანის უფლებების დაცვის მდგომარეობა, უხვად და უშურველად არ უნდა ეთქვა კომპლიმენტები სომხეთისა და აზერბაიჯანის ხელისუფლებების მიმართ.

**— როგორ შეაფასებდით იმ ფაქტს, რომ საქართველოზე კლინტონის განცხადებას რუსეთის პრემიერ-მინისტრი ვლადიმერ პუტინი მყისიერად გამოეხმაურა?**

— პუტინის განცხადება სწორედ იმის ნიშანი იყო, რომ საქართველოს საკითხში აშშ-ის პოზიცია მკაფიო იყო და რეალობას შეესაბამებოდა. ვაშინგტონმა მოსკოვს ნათლად მიანიშნა, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პრობლემა რუსეთ-ამერიკის ურთიერთობებში სერიოზული პრობლემა იქნება და მომავალში უნდა გადაიჭრას. ქალბატონ კლინტონს ყარაბაღსა და სომხეთ-თურქეთის საკითხებზეც რომ ასეთი მკაფიო პოზიციები დაეფიქსირებინა, კარგი იქნებოდა.

**— ბატონო სტეფან, ალბათ დამეთანხმებით, რომ ჰილარი კლინტონს ბაქოსთან საუბარი იმის გამოც გაუჭირდებოდა, რომ ვაშინგტონი ბაქოს 6 თვის წინათ ყარაბაღის 7-დან 5 რაიონის გადაცემას დაპირდა და ეს დანაპირები არ შესრულებულა...**

— მე არ ვამბობ, რომ ვაშინგტონმა სომხეთს ან აზერბაიჯანს მხარი უნდა დაუჭიროს და პოზიცია გაიზიაროს. მე იმაზე ვსაუბრობ, რომ აშშ-ს 18 ივნისს მომხდარ ინციდენტზე და სხვა საკითხებზე ადეკვატური რეაქცია უნდა ჰქონოდა. რეალურად, აშშ-მა ბაქოსა და ერევანში, შეიძლება, ითქვას არაფრისმთქმელი განცხადებები გააკეთა. გარწმუნებთ, რომ აშშ-ს, როგორც ზესახელმწიფოს, კლინტონის ვიზიტმა ერევანში არაფერი შესძინა.

რაც შეეხება ვაშინგტონის მიერ ბაქოსთვის მიცემულ დაპირებას. ვაშინგტონმა უნდა იცოდეს, რომ ერევნის ზურგს უკან ბაქოსთვის არანაირი დაპირებების მიცემა არ შეიძლებოდა. ყარაბაღის საკითხი მოლაპარაკებების საგანია, მაგრამ ჩვენს მაგივრად ვაშინგტონი არ უნდა წყვეტდეს, როდის გადასცემს სომხეთი აზერბაიჯანს იმ ტერიტორიებს, რომლებზეც მოლაპარაკებებიც კარგა ხანია, მიმდინარეობს.

**— ხომ არ ფიქრობთ, რომ ვიდრე სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტი არ გადაწყდება, რა ნაბიჯებიც არ უნდა გადადგას აშშ-მა სამხრეთ კავკასიაში, ამ რეგიონში რუსეთის გავლენის საკითხი სულ აქტუალური იქნება?**

— სამწუხაროდ, ეს ასეა. სხვათა შორის, ეს იმასაც უკავშირდება, რომ თურქეთი ისე ძლიერად აღარ არის ორიენტირებული აშშ-ზე. 5-10 წლის წინათ თურქეთი სამხრეთ კავკასიაში აშშ-ის პოლიტიკის გამტარებელი იყო, ახლა ჩვენს რეგიონში აშშ-საგან განსხვავებულ პოლიტიკას ატარებს. ამის გამოც არის, რომ რუსეთის როლი სამხრეთ კავკასიაში არა თუ მცირდება, იზრდება კიდეც. სამწუხაროდ, ამ პროცესებში რუსეთის მონაწილეობა კონსტრუქციულობით არ გამოირჩევა.



**კობა ბენდელიანი**

ვნახოთ!..



# რა უფრო მოეწონებათ ბავშვებს, რეალური სახელმძღვანელო თუ ვირტუალური „ბუკი“?

**კომპიუტერი, რომელიც არ ტყდება, არ ფუჭდება, ფერადია და, რაც მთავარია, შიგ მთელი „სამყაროა“ ჩატვირთული, — ეს ოცნება 3000-მდე პირველკლასელს სექტემბერში აუხდება, რადგან საპილოტე სკოლებში თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, ზუგდიდსა და წეროვანში მათ საჩუქრად გადასცემენ. რაც უნდა უჭირდეთ ძველი თაობის ბაბუებსა და მამიკოებს იმის წარმოდგენა, როგორ შეიძლება ისწავლოს ბავშვმა კომპიუტერის გამოყენებით, ეს ჩვენი ეპოქის თანამდევი რეალობაა, ხოლო პატარებს საერთოდაც ვერ წარმოუდგენიათ სამყარო უკომპიუტეროდ.**

გუშინ განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ნეტბუქი, რომელსაც უბრალოდ „ბუკი“ ანუ წიგნი ჰქვია რამდენიმე პირველკლასელსა და მათ მშობლებს წარუდგინა. ასევე შეიქმნა ახალი პორტალი http://www.buki.ge, სადაც განთავსდება სასწავლო-შემეცნებითი თამაშები, ლიტერატურული ნაწარმოებების და ზოგადად საჭირო სახელმძღვანელოების ელექტრონული ვერსიები. მათ, ვისაც ყველა წიგნის ყიდვის საშუალება არა აქვთ, საიტის გამოყენებით სახელმძღვანელოების უფასოდ გამოყენება შეეძლებათ.

„ბუკი“ გაეროს ექსპერტების რეკომენდაციების საფუძველზეა შექმნილი და მასზე უამრავი სპეციალისტი მუშაობდა. მოსწავლეთათვის ის მარტივი და ადვილად გამოსაყენებელია, მაგრამ დიმიტრი შაშკინის მტკიცებით, ნეტბუკის სკოლებში შეტანა სახელმძღვანელოების ხმარებიდან ამოღებას არ გულისხმობს. კომპიუტერი ასე ვთქვათ „საოჯახო ბიბლიოთეკის“ დატვირთვას შეიძენს და ის იქნება მხოლოდ დამატებითი ინფორმაციის წყარო.

კომპიუტერს პირველკლასელებთან ერთად პედაგოგებიც მიიღებენ. აგვისტოში მასწავლებლები ნეტბუკის ასათვისებლად ერთთვიან კურსებს გაივლიან, თუ როგორ უნდა გამოიყენონ კომპიუტერი სასწავლო პროცესში. კომპიუტერში საკმაოდ საინტერესო პროგრამებია ჩატვირთული ქართულ ენაში, მათემატიკაში, ლოგიკაში, უცხო ენებში, რომელსაც ასე ვთქვათ „თამაშ-თამაშით“ შეიმეცნებენ პატარები.

ვნახოთ, როგორი წარმატებული აღმოჩნდება ახალი რეფორმა, ამ ჯერზე კი მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ პატარებს თუნდაც იმიტომ უხარიათ სკოლაში წასვლა, რომ იქ ფერადი კომპიუტერი ელოდებათ. განათლების სამინისტროში აცხადებენ, რომ თანამედროვე ტექნოლოგიების სკოლაში დანერგვა სასწავლო პროცესს უფრო ინტელექტუალურსა და საინტერესოს გახდის.

**ნია ფიფია**



ინფორმაცია

## ბათუმს ფრანგული ფრეგატი ეწვია

**გუშინ საფრანგეთის ეროვნული ფრეგატი, სახელწოდებით „ჟან დე ვიენი„ ბათუმის ნავსადგურში შევიდა.**

**დახვედრის ცერემონიას ბათუმის მერი , საქართველოს სანაპირო დაცვის ხელმძღვანელობა და საფრანგეთის საელჩოს წარმომადგენლები დაესწრნენ. ცერემონიაზე ორი ქვეყნის სახელმწიფო ჰიმნები შესრულდა.**

**ფრეგატის ეკიპაჟის წევრებსა და საქართველოს სანაპირო დაცვის დეპარტამენტის წარმომადგენლებს შორის ბათუმის სპორტულ კომპლექს „მარინაში“ ფეხბურთის მატჩი გაიმართება.**

**„ჟან დე ვიენი“ ბათუმის ნავსადგურს 11 ივლისს დატოვებს, მანამდე კი, ფრანგი მეზღვაურები და საქართველოს სანაპირო დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლები 9 და 11 ივლისს ერთობლივ წვრთნებს ჩაატარებენ.**

ჯი-ეიჩ-ენი

◎ გაზსადენი

***პარლამენტის მიერ მომზადებული საკანონმდებლო ინიციატივის თანახმად, მაგისტრალურ გაზსადენს ამოიღებენ საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხიდან და სახელმწიფოს მიეცემა საშუალება, აღნიშნული ობიექტის აქციების ნაწილი ლონდონის ბირჟაზე განათავსოს. ამ ინიციატივის გამო, გაჩნდა მოსაზრება, რომ ხელისუფლება მაგისტრალური გაზსადენის რუსული კომპანიისთვის მიყიდვას გეგმავს. ოპოზიციონერების ეს მოსაზრება პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის დავით დარჩიაშვილის განცხადებამ გაამყარა, რომელმაც აღნიშნა, რომ „ფულს სუნი არ ასდის და თუნდაც ეს რუსული ფული იყოს, შეიძლება იგი ქართული სახელმწიფოს სასარგებლოდ იქნას გამოყენებული“. აღსანიშნავია, რომ გაზსადენის პრივატიზებაზე საუბარი ჰილარი კლინტონის ვიზიტამდე რამდენიმე დღით ადრე დაიწყეს, რის გამოც გაჩნდა მოსაზრება, რომ საქართველო ამ საკითხს დასავლეთთან ვაჭრობისთვის იყენებს. რაზე მიანიშნებს ყოველივე ეს და რამდენად არსებობს საფრთხე მაგისტრალური გაზსადენი მართლაც რუსული კომპანიის ხელში აღმოჩნდეს, ამ საკითხებზე საინფორმაციო სააგენტო „მედიანიუსი“ ეკონომიკის ექსპერტს გია ხუხაშვილს ესაუბრა.***




# დავით დარჩიაშვილის არგუმენტები რუსეთთან კაპიტულაციის შეფუთვის მცდელობაა

— ძალიან გამიკვირდა, რომ დავით დარჩიაშვილი პარლამენტში გამოსვლისას ბენდუქიძის შპარგალკებით საუბრობდა და გაზსადენის პრივატიზების ლობისტად მოგვევლინა. ფაქტობრივად, მისი არგუმენტები ძალიან ჰგავდა მილერის, ანუ „გაზპრომის“ არგუმენტაციას, რაც ყოვლად მიუღებელი და დაუშვებელია. ყველამ კარგად ვიცით, რომ 21-ე საუკუნეში რუსეთისთვის პრინციპული საკითხია არა მხოლოდ ენერგეტიკული რესურსების ფლობა, არამედ მთელი ინფრასტრუქტურის კონტროლი, რამაც თეორიულად შეიძლება აღმოსავლეთი და დასავლეთი ერთმანეთთან დააკავშიროს.

მისი ენერგეტიკული გრძელვადიანი სტრატეგია გულისხმობს სატრანზიტო ინფრასტრუქტურაზე კონტროლს, რომლითაც შესაძლებელია აღმოსავლეთიდან დასავლეთს მიეწოდოს გაზი, რასაც შემდგომ დასავლურ სამყაროზე და პირველ რიგში, ევროპაზე პოლიტიკური ზეგავლენისთვის იყენებს. აქედან გამომდინარე, ცენტრალური გაზსადენის მიყიდვა რუსეთისთვის, პირდაპირი თუ ირიბი გზით, ეწინააღმდეგება ერთიანი ევროპული ენერგეტიკული უსაფრთხოების ჩამოყალიბების პროცესს და შესაბამისად, საქართველოს გეოპოლიტიკურ ფუნქციას აკარგვინებს.

ერთადერთი გეოპოლიტიკური ფუნქცია, რაც ჩვენს ქვეყანას აქვს, გახლავთ ის, რომ დასავლეთისთვის საინტერესო ვართ, როგორც სატრანზიტო ქვეყანა, პირველ რიგში კი, გაზის და ნავთობის. და თუ მაგისტრალური გაზსადენი რუსეთის ხელში აღმოჩნდება, დასავლეთის ეკონომიკური ინტერესი ალტერნატიული ენერგომარშრუტების ფორმირების საკითხში, საქართველოს მიმართ საგრძნობლად შესუსტდება. ამიტომ ხელისუფლებამ არ უნდა გადადგას ისეთი ნაბიჯი, რომელიც დააზიანებს ჩვენი პარტნიორების, ანუ დასავლეთის სტრატეგიულ გრძელვადიან ინტერესებს საქართველოს მიმართ.

ეჭვი მაქვს, რომ დარჩიაშვილს კარგად ესმის, რაშია საქმე და რატომღაც მაინც ლობირებს გაზსადენის პრივატიზებას მაშინ, როდესაც მთავრობის პირველი პირი — პრემიერ-მინისტრი ლაპარაკობს სრულიად მისაღებ სქემაზე. აქ იმაზე კი არ არის საუბარი, რომ საერთოდ პრივატიზება არ შეიძლება, უბრალოდ პრივატიზებას თან უნდა ახლდეს გარკვეული შეზღუდვები, პოლიტიკური რისკების გათვალისწინებით.



ენერგეტიკა რომ პოლიტიკაა, დარჩიაშვილის რანგის მქონე ადამიანის მხრიდან ამის ეჭვეშ დაყენება ჩემთვის ძალიან გასაკვირია. გაზსადენის პრივატიზების დაუშვებლობაზე მარტო ჩვენ არ ვსაუბრობთ. სხვათა შორის, წლების განმავლობაში მაგისტრალური მილსადენის პრივატიზების დაუშვებლობაზე საუბრობდნენ ამერიკელებიც. ალბათ, ყველას გახსოვთ, როდესაც პირველად დაიწყო საუბარი გაზსადენის გაყიდვაზე, მაშინ რა განცხადებები გაკეთდა აშშ-ს ადმინისტრაციის მხრიდან.

**— საქართველოს ხელისუფლებას, ალბათ, კარგად ესმის ეს საფრთხეები და მათი მხრიდან, საერთოდ, ამ საკითხის წამოჭრა დასავლეთისთვის ერთგვარი მესიჯის გაგზავნა ხომ არ არის, რომ თუ დასავლეთი საქართველოს ინტერესებს აქტიურად არ დაიცავს და რუსეთთან მიმართებაში უფრო კატეგორიული არ იქნება, საქართველოს, როგორც სატრანზიტო ფუნქციის მატარებელ ქვეყანას დაკარგავს?**

— შესაძლოა. ამას არ გამოვრიცხავ, მაგრამ ვაჭრობის თემა არ შეიძლება გახდეს ქვეყნის ნაციონალური ინტერესები. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ვაჭრობა ძალიან სახიფათო თამაშია. თანაც ეს არ არის ის თემა, რომლითაც თამაში შეიძლება. შეიძლება ივაჭრო რაღაც სხვა საკითხებით და არა ქვეყნის სტრატეგიული ინტერესებით.

**— საერთოდ, აშშ რამდენად მისცემს უფლებას საქართველოს ასეთი სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ობიექტის პრივატიზება მოახდინოს, როცა შეიძლება აღნიშნული მილსადენი რუსეთის ხელში აღმოჩნდეს?**

— მოდით, ასე ვთქვათ: დღეს არ არის ასეთი სიტუაცია, როგორიც იყო 2004 წელს, როდესაც ამერიკელებმა კატეგორიული პოზიცია დააფიქსირეს მაგისტრალური გაზსადენის პრივატიზების საკითხთან დაკავშირებით. დღეს ამერიკული ინტერესი შესუსტებულია. მთავარია, რომ ჩვენ გავიაზროთ ჩვენი ნაციონალური ინტერესები, როდესაც დასავლურ ვექტორზე ვლაპარაკობთ, **თამაშის წესები ისეთი უნდა გვქონდეს, რომ დასავლეთის ინტერესები დავიცვათ, ანუ იმ სამყაროს ინტერესები, რომლისკენაც თეორიულად მივდივართ და არა ისე, რომ ვევაჭროთ მხარეს, რომელსაც დილას ოკუპანტს ვუძახით, საღამოს კი ასეთი ეგზოტიკური სახით კაპიტულაციას ვუცხადებთ. დარჩიაშვილის არგუმენტები, ეს იყო მხოლოდ და მხოლოდ, კაპიტულაციის შეფუთვის მცდელობა და მეტი არაფერი.**

◎ მტერ-მოყვარენი

# მოსკოვმა, ვაშინგტონი რუსეთის შიდა საქმეებში ერევაო...

**რუსეთი ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის შენიშვნებს არ იზიარებს და ამერიკელ კოლეგებს „ამ კუთხით თავად აშშ-ში არსებულ პრობლემებში უკეთ გარკვევას“ ურჩევს.**

ასე გამოეხმაურა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ყოველწლიურ მოხსენებას, რომელიც 2009 წელს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში დემოკრატიის განვითარების კუთხით არსებულ მდგომარეობას ასახავს.

„იქმნება შთაბეჭდილება, რომ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის თანამშრომლებს, რომლებმაც ერთობლივი მოხსენება შეიმუშავეს, რუსულ-ამერიკული ურთიერთობების „გადატვირთვა“ ჯერ არ შეუმჩნევიათ. რუსეთთან არსებულ სიტუაციასთან მიმართებაში მათ ქვეყანაში დემოკრატიის „ეროზიის“ შესახებ თეზისების ტრადიციული ერთობლიობა გამოიყენეს. მოხსენების ავტორები აღნიშნავენ, რომ ორმხრივი საპრეზიდენტო კომისიის ფარგლებში შექმნილი სამოქალაქო საზოგადოების სამუშაო ჯგუფი თურმე, რუსეთში დემოკრატიული ნორმებისა და სტანდარტების დაცვის პროცესს გააკონტროლებს. მოხსენების ავტორებს არც რუსი ხალხის საკეთილდღეოდ აშშ-ის ადმინისტრაციის მიერ ჩადენილი „კეთილი საქმეების“ ჩამოთვლა დავიწყებიათ, არადა, ამ „კეთილი საქმეების“ დიდი ნაწილი ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევას ესაზღვრება. მათ შორისაა, მაგალითად, არჩევნებზე „დამოუკიდებელი დამკვირვებლების“ სწავლების დაფინანსება, ადგილებზე ე.წ. დამოუკიდებელი სახელისუფლებო სტრუქტურების აღზრდის მცდელობები, „საჭირო“ საკანონმდებლო ინიციატივების ლობირება და სხვა. სხვათა შორის, ამ ფონზე პარტნიორები ხელიდან არ უშვებენ შესაძლებლობას, საზღვარგარეთ თანამემამულეთა დახმარების რუსული პროგრამები პოლიტიკურ პროვოკაციად გამოაცხადონ“, — ნათქვამია სერგეი ლავროვის უწყების მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

მისივე შეფასებით, „აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მოხსენება ფორმალურად მისთვის გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის ანგარიშს წარმოადგენს“. „ამერიკული დიპლომატიის მცდელობა, დაამტკიცოს, რომ ტყუილად არ ჭამს პურს, გასაგებია, თუმცა იბადება კითხვა: თუკი გამოყოფილი ფინანსური სახსრების წლიდან წლამდე ზრდის მიუხედავად, ამ უწყებისვე შეფასებით, „პრობლემურ“ ქვეყნებში საგრძნობი წინსვლა არ შეიმჩნევა, რატომ არ აძლევს ეს ძალისხმევა აშშ-ს საჭირო შედეგს?. ჩვენი აზრით, მოხსენების შინაარსი ცხადყოფს, რომ მტკიცება — „ვინც ამერიკასთან ერთად არ არის, დემოკრატი არაა“, რომლითაც ფაქტობრივად ფასდება სიტუაცია ამა თუ იმ ქვეყანაში, სრულიად მცდარია. ორი ერთნაირი დემოკრატია არ არსებობს. დემოკრატიისკენ სვლის გზას, უფრო ზუსტად კი, დემოკრატიული განვითარების მიმართულებას არა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი, არამედ შესაბამისი სახელმწიფოს მოსახლეობა ირჩევს“, — აცხადებს ლავროვის უწყება.

რაც შეეხება რუსეთის მისამართით ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებთან დაკავშირებით გამოთქმულ კრიტიკას, ოფიციალური მოსკოვი ირწმუნება, რომ „ღიაა კონსტრუქციული და ურთიერთპატივისცემის საფუძველზე აგებული დიალოგისთვის, თუმცა არა ნოტაციებისა და ჭკუის სწავლებისთვის იმის შესახებ, თუ როგორ უნდა აშენოს „ჭეშმარიტი დემოკრატია“.

„ასე რომ, აშშ-ის ადმინისტრაციის ცალკეული წარმომადგენლების მხრიდან რუსეთთან მიმართებაში გამოთქმული სუბიექტივისტური შეფასებები ორმაგ სტანდარტებს ეფუძნება და უადგილოა. როგორც არაერთხელ აღუნიშნავს პრეზიდენტ მედვედევს, პრობლემებს, რომელიც დემოკრატიის განვითარების პროცესში იქმნება, რუსეთი დამოუკიდებლად, იმ დემოკრატიული არჩევანის საფუძველზე გადაწყვეტს, რომელიც ერთხელ და სამუდამოდ გააკეთა. რეკომენდაციას ვაძლევთ კოლეგებს სახელმწიფო დეპარტამენტიდან, ნუ ერევათ ერთმანეთში პრობლემების არსებობა ამ პრობლემების გადაჭრის სურვილის არქონაში. ასევე ურიგო არ იქნებოდა, მათ უფრო შინაარსობრივად განეხილათ ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში თავად აშშ-ში არსებული პრობლემები ამ სფეროში საერთაშორისო სამართლის უნივერსალური ნორმების ჩათვლით. ამ მხრივ მნიშვნელოვანი წყალგამყოფი მომენტი მიმდინარე წლის ნოემბერში დადგება, როდესაც აშშ გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოში უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის პროცედურას გაივლის, ანუ კომპლექსურ მოხსენებას წარადგენს ადამიანის უფლებათა დაცვის წახალისების სფეროში საკუთარი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების თაობაზე. ჩვენ აშშ-სთან ურთიერთობებს ვუფრთხილდებით და ვთვლით, რომ დიდი ხანია, დადგა დრო, უარი ვთქვათ წარსულზე და იმ პრაქტიკაზე, რომელიც არ შეესაბამება ჩვენი თანამშრომლობის ახალ ხასიათს. ჩვენთვის ამოსავალი წერტილია, ორივე მხარის ინტერესების გათვალისწინებით დავიცვათ ჩვენი პარტნიორობა არაკეთილსინდისიერი მეთოდებისაგან. აზრთა სხვადასხვაობა სხვადასხვა საკითხში მომავალშიც იჩენს თავს, თუმცა ძალზე მნიშვნელოვანია, ისინი პოლიტიკური კონიუნქტურის საგნად არ ვაქციოთ და განვიხილოთ კონსტრუქციული კრიტიკისა და რეკომენდაციების სიბრტყეში, ერთმანეთის პოზიციების პატივისცემისა და გათვალისწინების საფუძველზე“, — ნათქვამია ლავროვის უწყების განცხადებაში.

„პირველი“

◉ საზოგადოებრივი საკონსტიტუციო დარბაზი

# ძალაუფლების მოყვარული პრეზიდენტისგან ყველაფერი მოსალოდნელია!..

**პუტინის ვარიანტის რეალურ საშიშროებაზე და სააკაშვილის მესამე ვადით მოვლინებაზე ექსპერტები და საზოგადოების წარმომადგენლები ღიად აცხადებენ, ძალაუფლების მოყვარული პრეზიდენტისგან ყველაფერი მოსალოდნელიაო და ცდილობენ, ფრთხილად იყვნენ, თუმცა ნაკლებ სავარაუდოა, რომ ოპოზიცია ხელისუფლების ამ წყურვილს წინ აღუდგეს.**




მაგრამ ხომ გაგიგიათ, ცდა ბედის მონახევრეაო. საზოგადოებრივი საკონსტიტუციო კომისია ხალხისგან მოითხოვს აქტიურობას, რათა მან ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი დოკუმენტის – კონსტიტუციის მიღებაში საკუთარი სიტყვა თქვან, „ხალხთან და საზოგადოებასთან ერთად უნდა შევკრათ საზოგადოებრივი საკონსტიტუციო დარბაზი, სადაც ყველა იქნება ჯარისკაცი და არ იქნებიან გენერლები", – განაცხადა საზოგადოებრივი საკონსტიტუციო კომისიის წევრმა ვახტანგ ძაბირაძემ.

ძაბირაძის აზრით, არ არის გამორიცხული, ხელისუფლებამ დაჩქარებულად მიიღოს სახელმწიფო საზოგადოებრივი საბჭოს მიერ შემუშავებული კონსტიტუცია – როდის აამოქმედებენ ქვეყნის უზენაეს კანონს, ამის დაგეგმვას კონსტიტუციის მიღებისას აპირებენ. ამიტომ საზოგადოება ყურადღებით უნდა იყოსო.

ამ მიზნით შემოდგომაზე საზოგადოებრივი საკონსტიტუციო დარბაზის ამოქმედება იგეგმება, – ეს გადაწყვეტილება ერთობლივად მიიღეს საზოგადოებრივმა საკონსტიტუციო კომისიამ და დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბმა. მათი აზრით, დარბაზის შექმნა ხელს შეუწყობს ახალი კონსტიტუციის პროექტის განხილვაში საზოგადოების ფართო სფეროს წარმომადგენელთა მონაწილეობას, ამასთან, დარბაზში გაერთიანების უფლება ექნებათ აკადემიური საზოგადოების წარმომადგენლებს და პოლიტიკურ სუბიექტებს.

დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბის ხელმძღვანელის სოსო ცისკარიშვილის განცხადებით, დარბაზში დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბის 18-ივე წევრი გაერთიანდება. ცისკარიშვილი ფიქრობს, რომ აუცილებელია დარბაზის ჩამოყალიბება ისეთი ადამიანებით, რომელთა ხედვაც კრიტიკული იქნება. ეს ხელს შეუწყობს ქვეყანაში მდგრადი და სამართლიანი კონსტიტუციის მიღებასო. საზოგადოებრივი დარბაზის მიზანია საჯარო განხილვებით ქვეყნის ახალი კონსტიტუციის მიღება და მისი ზედმეტად პოლიტიზების თავიდან აცილება.

დარბაზის შექმნის ინიციატორები საზოგადოებას მოუწოდებენ, მათთვის სულ ერთი ნუ იქნება ახალი კონსტიტუციის მიღება, მუშაობაში ჩაერთოს ყველა, ვისაც ქვეყნის მომავლის წინაშე პასუხისმგებლობა აქვს. მხოლოდ ერთიანობით მიიღწევა სასურველი შედეგი.

**ნატა ნიბლაძე**

◉ რეპლიკა

# იქნებ ადამიანური პასუხი მაინც გაგვცეთ და აბდაუბდა არ მოგვასმენინოთ, ბატონებო?

## სადაც უმაღლესი ხელისუფალნი საკუთარ მოქალაქეებთან შეხვედრას თავს არიდებენ, იქ საქმე ძალიან ცუდადაა!

**ამას წინათ პრეზიდენტს, პარლამენტსა და მთავრობას მივწერე წერილი იმის შესახებ, რომ პენსიები უნდა გაიზარდოს არა მხოლოდ სტაჟისა და დამსახურების მიხედვით, არამედ სამეცნიერო ხარისხის მიხედვითაც, მაგალითად, პროფესორს დაენიშნოს არანაკლებ 300 ლარი, აკადემიკოსის პენსია კი 500 ლარი მაინც უნდა იყოს!**

ცხადია, არც პრეზიდენტი და არც მთავრობის წევრები წერილებს არ კითხულობენ. სახელმწიფო კანცელარიის ჩინოვნიკები ჩვენს წერილებს აწერენ უფრო დაბალი რანგის ჩინოვნიკებს, რომლებიც სწორად გვპასუხობენ, რომ ისინი არ არიან კომპეტენტურები იმ საკითხებში, რასაც ჩვენ ვთხოვთ. აი, რა პასუხი მივიღე ჯანდაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოდან ბ-ნ მ. წამალაშვილის ხელმოწერით: **„საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან მიღებული თქვენი წერილის პასუხად, რომელიც ეხება პენსიის ოდენობის განსაზღვრას, ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში გაცნობებთ, რომ პენსიების ოდენობა განსაზღვრულია „სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" კანონით და მის შესაბამისად ღებულობთ ასაკის პენსიას, თვეში 80 ლარის ოდენობით, რასცა ემატება 10 ლარი შრომის სტაჟისათვის. სააგენტო მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისად საკანონმდებლო ინიციატივის უფლებით არ სარგებლობს".**

მართალია, ბ-ნ წამალაშვილის პასუხი ვერაფერი წამალია ჩვენთვის, მაგრამ ის სწორად მწერს, რომ მას ეს საკითხი არ ეხება. **პრეზიდენტს რომ მოეწერა ჩემთვის, სწორია დასმული საკითხი და მთავრობა გაითვალისწინებს სამეცნიერო ხარისხის მქონე პირებისთვის შესაბამისი პენსიების დანიშვნასო,** – ეს იქნებოდა ადეკვატური პასუხი ჩემს განცხადებაზე.

სახელმწიფო კანცელარიაში, პრეზიდენტის აპარატში როცა დავრეკე და შეხვედრა მოვითხოვე კომპეტენტურ პირებთან და პრეზიდენტთან, მიპასუხეს: **აქ მოქალაქეებს არ ღებულობენ, თუ გნებავთ ქვევით ჩამოვლენ თქვენთან სასაუბროდო!**

ბ-ნო პრეზიდენტო! წერილებს რომ ვღებულობ სახლში თქვენი ხელმოწერით და ბოდიშს მიხდით მიზერული პენსიისთვის, ან ჭიქებს რომ მიგზავნით და მილოცავთ საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, ამას არ სჯობდა, იმდენად მაინც გაგეზარდათ პენსია, რომ ქაღალდის ყიდვა მაინც შემეძლოს მართალი რეპლიკების საწერად? ან ერთხელ მაინც მოგსურვებოდათ ჩემთან შეხვედრა, ან მე შემძლებოდა თქვენი სასახლის დათვალიერება იმ ბავშვებთან ერთად, რომლებიც მე ძალიან მიყვარს, რადგანაც პროფესიით პედიატრი ვარ და მათ ჯანმრთელობას 40 წელიწადი ვემსახურე, ასობით ბავშვი მყავს სიკვდილს გადარჩენილი, 65 პროცენტით დავაქვეითე ერთ-ერთ რაიონში ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი და იაპონიის დონეს გავუთანაბრე (11 ერთეულამდე)! ამერიკაში ალბათ ამისთვის სახელმწიფო პრემიას მომცემდნენ, აქ კი წერილზეც ვერ ვღებულობ ადეკვატურ პასუხს და მხოლოდ აბდაუბდას ვისმენ. ეს ნონსენსი უკვე მოსაბეზრებელია...

**დადგა დრო, ბატონო მიხეილ, რომ ხალხზე იზრუნოთ, თორემ მშიერი და გაბრაზებული ხალხი ძალიან საშიშია.**

პატივისცემით

**მამია მდინარაძე,**
პროფესორი

◉ ინფორმაცია

# რა ზარალი მიაყენა აგვისტოს ომმა მოსახლეობას

**2008 წლის აგვისტოს ომის დროს დაზარალებული მოსახლეობისთვის მიყენებული ზარალის ოდენობის დადგენა დასრულდა.**

**ამის შესახებ არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანის უფლებათა პრიორიტეტიდან" იტყობინებიან.**

**მათი ინფორმაციით, მთავრობიდან მიიღეს წერილი, რომ საქართველოს მთავრობის განკარგულება „რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად საქართველოს სამოქალაქო სექტორისთვის მიყენებული ზარალის შესწავლისა და დადგენის სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ" ძალადაკარგულად გამოცხადდა.**

**არასამთავრობო ორგანიზაციის იურისტების განცხადებით, ეს ფაქტი იმის მანიშნებელია, რომ დროებითმა კომისიამ თავისი მოვალეობა შეასრულა – შეაფასა და დაადგინა 2008 წლის აგვისტოს ომის დროს დაზარალებული მოსახლეობისთვის მიყენებული ზარალის ოდენობა და შესაბამისად, მისი საქმიანობა ამოიწურა.**

**სამთავრობო კომისია შეიქმნა 2008 წლის 8 სექტემბერს, ხოლო მუშაობა შეწყვიტა – 2010 წლის 24 აპრილს. აღნიშნულის შესახებ „ადამიანის უფლებათა პრიორიტეტისთვის" 7 ივლისს გახდა ცნობილი.**

**შეგახსენებთ, რომ „ადამიანის უფლებათა პრიორიტეტი" იცავს ე.წ. სასაზღვრო სოფლებში მცხოვრებ ადამიანთა უფლებებს, რომლებმაც აგვისტოს ომის დროს დაკარგეს ახლობლები და ქონება, დაიჭრნენ, გახდნენ წამების ან დამამცირებელი მოპყრობის მსხვერპლნი, იყვნენ ტყვეობაში ან რაიმე სხვა სახით მოხდა მათი დისკრიმინაცია.**

**მათივე თქმით, სამთავრობო კომისიის საქმიანობის ამოწურვიდან გამომდინარე, როგორც აგვისტოს ომით დაზარალებული ოჯახების დაცვის მხარეს, გაუადვილდება მოსახლეობისთვის მიყენებული ზარალის ანაზღაურების მოთხოვნა, ხოლო სასამართლოებს, ამ მოთხოვნის დაკმაყოფილება.**

**დღეისათვის „ადამიანის უფლებათა პრიორიტეტს" საქართველოს მთავრობაში, სადაც ასაჩივრებს ომით დაზარალებულთა მოთხოვნას, 7 ადმინისტრაციული საჩივარი აქვს შეტანილი, ხოლო ამდენივე მზადების სტადიაშია.**

ჯი-ეიჩ-ენი

◉ ინფორმაცია

## ლეიბორისტები სააკაშვილისთვის სანქციების დაწესებას ითხოვს

**„ლეიბორისტული პარტია" ვენეციის კომისიას საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილისა და მისი გუნდისთვის პოლიტიკური და ფინანსური სანქციების დაწესებისკენ მოუწოდებს.**




**პარტიამ სპეციალური განცხადებით ვენეციის კომისიის პრეზიდენტს ჯანი ბუკიკიოს მიმართა.**

**როგორც „ლეიბორისტების" ერთ-ერთმა ლიდერმა კახა ძაგანიამ აღნიშნა, მიმართვაში საუბარია დაგეგმილ საკონსტიტუციო ცვლილებებზე, რომლებიც მიხეილ სააკაშვილს 2013 წლის შემდეგ საშუალებას მისცემს ქვეყნის მართვა პრემიერ-მინისტრის რანგში გააგრძელოს, რაც მისი მრავალწლიანი დიქტატურის დაკანონების ტოლფასი იქნება.**

**– იმედი მაქვს, რომ ვენეციის კომისია ხელს შეუწყობს ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების განვითარებას და მხარს დაუჭერს „ლეიბორისტული პარტიის„ ინიციატივას, რომ კონსტიტუციაში დამატებითი ნორმა ჩაიწეროს, რომლის მიხედვითაც, პრეზიდენტებს, ვადის ამოწურვის შემდეგ, მთავრობის, პარლამენტის და სასამართლო ხელისუფლების ხელმძღვანელი პოსტის დაკავებაზე შეზღუდვები დაუწესდებათ, – აცხადებს ძაგანია.**

ჯი-ეიჩ-ენი

◉ ქველმოქმედება

# ობოლ გოგონას დაეხმარნენ...

**მრავლისმეტყველია ღვაწლმოსილი ქალთა საბჭოს მუშაობის 63 წელი. მისი მიზანი მუდმივად რჩება ქალთა როლის ამაღლება და მათი უფლებების დაცვა. ქალთა საბჭომ მუშაობის სტილად აირჩია დევიზი: „ტრადიციებისა და სიახლის ერთობა", რომელიც ასე სჭირდება ქვეყანასა და ჩვენს მომავალს.**

ამ დღეებში საგარეჯოს ქალთა საბჭოს რაიონული ორგანიზაციის (ხელმძღვანელი თამარ საგინაშვილი) თაოსნობით, სოფელ ლამბალოს საჯარო სკოლაში საქართველოს ქალთა საბჭოს წარმომადგენლებთან შეხვედრა გაიმართა, სადაც სკოლის სპორტულ დარბაზში აზერბაიჯანელი ქალებისა და სკოლის მოსწავლეების თვითშემოქმედების ნიმუშები, ხალიჩები, ჯეჯიმები, წინდები, სხვადასხვა ნაქსოვი და ნახატები გამოფინეს. ყველას ყურადღება მიიპყრო ერთმა ნამუშევარმა, სადაც აზერბაიჯანულ ენაზე ოქრომკედით იყო ამოქარგული შოთა რუსთაველის პოემის ერთი სტროფი. ზეთოვანი საღებავებით, აკვარელით, გუაშით იყო წარმოდგენილი მოსწავლეების (ლამან ახმედოვა, შალალა იბრაგიმოვა და სხვ.) საინტერესო ნამუშევრები.

ვემადლიერებით მე-8 კლასელ ბიჭს ინთიკამ გუსეინოვს, რომელსაც საქართველოს სიყვარულმა ლექსები ქართულად დააწერინა და თვითონვე წაიკითხა შეხვედრაზე.

აქვე დაარსდა საგარეჯოს რაიონის ხუთი აზერბაიჯანული სოფლის (ლამბალო, იორმუღანლო, დუზაგრამა, კაზლარი და თელარი) საგარეჯოს ქალთა საბჭოს ფილიალი, რომლის ხელმძღვანელად ერთხმად აირჩიეს ლამბალოს საჯარო სკოლის აზერბაიჯანული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ელმირა ახუნდოვა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოში მცხოვრები ქართველ-აზერბაიჯანელ ქალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე, მარნეულელი ნორა გასანოვა და საქართველოში მცხოვრებ ქალთა საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტი იზოლდა ტიგიევა.

შეხვედრაზე საქართველოსა და რაიონულ ქალთა საბჭოს სიგელებით დააჯილდოვეს გამოფენის მონაწილეები; მადლობა გადაუხადეს საგარეჯოს რესურსცენტრის უფროსს გია დუჩიძეს, სკოლის დირექტორებს – ალაბალი ხეირსაბაროვს, ისლამ გაიბოვს. დიდი მადლობა აზერბაიჯანელი ეროვნების ქალებს, რომლებმაც ქალთა საბჭოსთან თანამშრომლობის სურვილი გამოთქვეს.

ასეთი შეხვედრები რომ სასარგებლო და საჭიროა, ცხადყოფს ისიც, რომ დახმარებისათვის მოგვმართა ელმირა ახუნდოვამ: 18 წლის ობოლი გოგონა სოციალურად დაუცველი ოჯახიდან საჭიროებდა ოფთალმოლოგის კონსულტაციას. საბჭომ დახმარებისათვის მიმართა ბატონ ფრიდონ თოდუას კლინიკას, სადაც ოფთალმოლოგებმა, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორებმა თინათინ შენგელაიამ და მედეა პაპავამ გოგონას დახმარება აღმოუჩინეს. ისინი მადლობას იმსახურებენ გულისხმიერებისთვის.

ქალთა საბჭო განაგრძობს რეგიონებში ეროვნულ უმცირესობებთან მუშაობას, თუნდაც ერთი სოციალურად დაუცველი ოჯახის თანადგომისათვის.

**საქართველოს ქალთა საბჭოს გამგეობა**

№ 128. პარასკევი, 9 ივლისი, 2010 წელი.

## ჟამი ძეგლთა მსხვრევისა

**2010 წლის 24-25 ივნისს საქართველოში მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა: ქალაქ გორში, მთავარ მოედანზე, შუაღამით იოსებ სტალინის დიდი ძეგლი აიღეს, 27-ში კი ასეთივე ძეგლი აიღეს ტყიბულშიც.**

ლენინის, ორჯონიკიძის და სხვა უფრო „წვრილფეხა კომუნისტური მოღვაწეების“ დიდი და პატარა ბიუსტები თუ ქანდაკებები გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდანვე, იცოცხლეთ, ერთი ხელის მოსმით მოცოცხეს, მაგრამ **ბელადის ქანდაკებას მის მშობლიურ ქალაქში** დღემდე ვერ შეჰბედეს... ის კი არადა, უფრო ადრე, 50-იან წლებში, ნიკიტა ხრუშჩოვის მიერ სტალინის „პიროვნების კულტად“ გამოცხადების შემდეგ სტალინის ძეგლები მთელ საბჭოთა კავშირში აიღეს, მაგრამ **მის ძეგლს გორში ხელი ვერ ახლეს**, აქაოდა, ქალაქს ეკუთვნის, თავისი გმირის ძეგლი ედგასო. თითქოს სტალინი და მისი გმირული საქმეები მარტო გორს ეკუთვნოდა.

ვინ იყო იოსებ სტალინი?

იოსებ სტალინი იყო ის სახელმწიფო მოღვაწე და დიქტატორი, უმაღლესი მხედართმთავარი (გენერალისიმუსი), რომლის უშუალო ხელმძღვანელობით რუსეთმა ცეცხლითა და მახვილით, უზარმაზარი მაგნიტივით შემოიერთა და გაასაბჭოვა შემდგომ საბჭოთა რესპუბლიკებად წოდებული მეზობელი ქვეყნები, ხანგრძლივ და სასტიკ ბროლაში ფიზიკურად გაანადგურა ოპოზიციური ძალები და მათი მიმდევრები, შექმნა და ფეხზე დააყენა ახალი საბჭოთა სახელმწიფო, მეორე მსოფლიო ომში მოახერხა ანტიჰიტლერული კოალიციის ჩამოყალიბება და დაამსხვრია გერმანიის ფაშისტური მანქანა, მოიპოვა დიდი გამარჯვება და უსაზღვროდ განადიდა სსრკ, გააფართოვა იგი დასავლეთით თუ აღმოსავლეთით, საფუძველი ჩაუყარა ქვეყნის გიგანტურ საწარმოო ძალთა განვითარებას და აზიარა იგი თანამედროვე ტექნოლოგიების უმაღლეს მიღწევებს – ბირთვულ იარაღს, რომლის დიდ შედეგებს რუსეთი დღემდე, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგაც, წარმატებით იმკის და არ თმობს მსოფლიოს უძლიერეს სახელმწიფოთა ელიტას.

**ეს მან, იოსებ სტალინმა აქცია რუსეთი იმად, როგორიც ის დღესაა: ძლიერ და დაუნდობელ იმპერიად. და ამაში იოსებ სტალინს დიდი დახმარება გაუწია სოფელ მერხეულში დაბადებულმა მეორე ქართველმა!**

აი, ასეთი გახლდათ იოსებ სტალინი!

ამიტომ ამ დიდი პიროვნების ქანდაკებებით რუსეთი დღესაც მოფენილი უნდა იყოს, ის წმინდანად უნდა ჰყავდეთ შერაცხილი და მასზე უნდა ლოცულობდნენ. მით უფრო, რომ მას შემდეგაც რუსეთს იმპერიული ბუნება და აზროვნება არ შეუცვლია.

**რა ვუყოთ, რომ იოსებ სტალინი წარმოშობით ქართველი იყო!** განა წმინდა რუსები იყვნენ ივანე IV იმპერატორი პეტრე პირველი, დედოფალი ეკატერინე II, სხვა დიდი პიროვნებები, რომლებმაც ჩამოაყალიბეს რუსული სახელმწიფო, მისი ეკონომიკა და კულტურა და განადიდეს იგი. ხომ ცნობილია, რომ არც ერთი მათგანი არ იყო წმინდა რუსული წარმოშობისა, მაგრამ ყველანი უწინარესად დიდ რუსულ საქმეს აკეთებდნენ. სამწუხაროდ, სწორედ რუსეთში პოულობდნენ ეს პიროვნებები ფართო სამოქმედო არეალს!

ცხადია, იოსებ სტალინმაც იცოდა, რომ ჰქმნიდა და განადიდებდა რა საბჭოთა კავშირს, იგი უწინარესად რუსეთის ინტერესებს ემსახურებოდა, რადგან რუსეთის ძლიერება იყო საბჭოთა კავშირის ძლიერების საფუძველი. გავიხსენოთ სსრკ-ის ჰიმნის პირველი სტრიქონი: **„თავისუფალ ერთა მძლე კავშირი ძმური შეუკრავს მუდმივად დიდ რუსეთის ხალხს“**. როგორც ამ ჰიმნის ავტორები (ს. მიხალკოვი, გ. ელ-რეგისტანი) თავის მოგონებებში გადმოგვცემენ, მათ უშუალოდ სტალინისაგან მიიღეს დავალება, თუ რა შინაარსის უნდა ყოფილიყო ჰიმნი, ხოლო დაწერილ ტექსტს სტრიქონ-სტრიქონ სტალინი სინჯავდა და ასწორებდა. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ჰიმნის ტექსტი, მისი პოლიტიკური მნიშვნელობიდან გამომდინარე, ფაქტობრივად სტალინმა შექმნა.

# „ჯუღაშვილი დედამ შობა და სტალინი – საუკუნემ!“





რუს ხალხს ამიტომაც უყვარდა და მის უფროს თაობას დღესაც უყვარს იოსებ სტალინი (და უნდა უყვარდეს კიდეც!), დღესაც ენატრება და მზად არის გაჰყვეს ახალი იმპერიის შემქმნელ სხვა პიროვნებას, ვინც სტალინის გზით ივლის. რატომაც არა!

ბუნებრივია, რომ რუსეთსა და ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებში დადგმული ქანდაკებებისაგან განსხვავებით, საქართველოში მდგარ იოსებ სტალინის ქანდაკებებს, გასაგები მიზეზების გამო, სრულიად განსხვავებული დატვირთვა ჰქონდა. ეს დატვირთვა გახლდათ იოსებ სტალინის ეროვნულობა, მისი **ქართული წარმომავლობა!**

საოცრად ამაყი, გულმავიწყი, კეთილი და მიამიტი ხალხი ვართ ქართველები!

ისტორიის შორეული სიღრმეების მანძილზე უცხო დამპყრობლებს საქართველო არაერთხელ მოუოხრებიათ და გაუტიალებიათ, მერე ხარკი დაუდვიათ და... წასულან. ქვეყანა კი ფეხზე წამომდგარა და დამოუკიდებლად არსებობა გაუგრძელებია, თავისი სამეფო დინასტიით...

ქართული მიამიტობით დასახმარებლად მოწვეული რუსეთი კი ორნახევარ საუკუნეზე მეტია დღემდე „გვეხმარება“...

თუ რას ნიშნავდა ქართული ტერიტორიებისთვის ავტონომიების სტატუსის მინიჭება და ტერიტორიების „დარიგება-დანაწილება,“ ეს რეალურად სსრკ-ის დაშლის შემდეგ გამოჩნდა, როდესაც რუსეთი სსრკ-ის უფლებამემკვიდრე გახდა.

მაგრამ ქართველი კაცი, როგორც ზემოთ ვთქვით, საოცრად გულმავიწყი, კეთილი, მიამიტი და ამაყია. დიახ! **დიდი სტალინი ქართველი იყო და ქართველმა ხალხმა დაივიწყა საქართველოსთვის გაწეული „ბოროტება“.** ქართველთა დღევანდელი საშუალო და, განსაკუთრებით, უფროსი თაობა, რომელსაც რეპრესიების სხვადასხვა გარემოებათა გამო არ შეხებია და დიდი სტალინის ქება-დიდებაში გაიზარდა, დღეს იოსებ სტალინის ხსოვნის კრიტიკას საკუთარ შეურაცხყოფად ღებულობს და „გვამიჭამიას“ და „მკვდარიჭამიას“ ეპითეტებით ამკობს ყველას, ვინც სტალინზე ძვირს იტყვის.

რასაც იოსებ სტალინი აკეთებდა იმპერიული საბჭოთა სახელმწიფოს სადიდებლად, ვთქვათ, კურილიის კუნძულების თუ კენისბერგის შემოერთება ან დამარცხებული გერმანიიდან დეპორტირებული მეტალურგიული ან საავტომობილო ქარხნების საბჭოთა კავშირში განთავსება და ა.შ. მისთვის, როგორც ჭეშმარიტად გენიოსი და დაუნდობელი დიქტატორისთვის, სრულიად მისაღები და გამართლებული იყო ის გადაწყვეტილება, რაც საბჭოთა ქვეყნის ინტერესებს პასუხობდა. არავითარი გადახრა და კერძო ინტერესები! ქვეყანაში ყველაფერს ერთი კაცი – ბელადი წყვეტდა, ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ს! ეს იქნებოდა სახელობით (სხვადასხვა ხარისხის ლენინურ, სტალინურ) პრემიაზე წარდგენილი ლიტერატურული ნაწარმოების თუ თეატრალური დადგმის ავ-კარგიანობის დადგენა, ნებისმიერი ეკონომიკური თუ სამხედრო ღონისძიებები და სხვა ათასი რამ. ყველა, ვისაც ბელადთან კონტაქტი ჰქონდა, „დათრგუნული“ იყო მისი კომპეტენტურობით, სხარტი აზროვნებით, შეუცდომელი მეხსიერებით, მოვლენათა აღქმისა და შეფასების სწრაფი უნარით. ეს ადამიანი ილვწოდა საბჭოთა ქვეყნისთვის. „ნას ვირასტილ სტალინ ნა ვერნოსტ ნაროდუ“ – ნათქვამია სსრკ-ს ჰიმნში.

დიახ, ქართველს ეამაყება ასეთი გენიალური ადამიანის ქართული წარმომავლობა!

პოეტისა არ იყოს, **„ჯუღაშვილი დედამ შობა და სტალინი – საუკუნემ“!** დიახ, დედის ნაშობი სოსო ჯუღაშვილი საუკუნემ ხელახლა შობა იოსებ სტალინად, რომელმაც თავისი ახალი სამშობლო – სსრ კავშირი ჭეშმარიტად განადიდა!

ღმერთმა ყველა დიდხანს და ჯანმრთელად ამყოფოს, და მრავალ „გაუცხოებულ ჭეშმარიტ ქართველს“ სიკვდილის მოახლოებისას სამშობლო ახსენებს თავს და მისკენ მიილტვის (თუ შეუძლია, რასაკვირველია). რისთვის? მახსენდება დიდი ქართველი მგოსნის სათაყვანებელი სიტყვები: „დედა-შვილობამ ბევრს არ გთხოვ: შენს მიწას მიმაბარეო!..“ სოსო ჯუღაშვილმა ამის გაკეთებაც ვერ მოასწრო. დიდმა იოსებ სტალინმა არ ქნა!..

**ამირან გაბისონია**

## ინფორმაცია

### პოლონეთს ავიაკატასტროფის გამოძიების მასალები გადასცეს

**რუსეთის ფედერაციამ პოლონეთს სმოლენსკთან მომხდარი ავიაკატასტროფის შესახებ მის ხელთ არსებული ყველა საგამოძიებო მასალა გადასცა. განცხადება ამის შესახებ ვიცე-პრემიერმა სერგეი ივანოვმა გააკეთა.**



**– უკვე გადასაცემიც კი არაფერი გვაქვს, ყველაფერი რისი გადაცემაც შეიძლებოდა უკვე გადავეცით, – აცხადებს ივანოვი და აღნიშნავს, რომ საუბრების გაშიფრული ჩანაწერები ასევე უკვე გადაცემულია პოლონური მხარისათვის და მის მიერ გამოქვეყნებულია კიდეც. „ყველაფრის გაგება უკვე არც თუ ისე რთულია“, – დასძენს ივანოვი.**

**რუსული მედია აღნიშნავს, რომ შავი ყუთის ჩანაწერები გრიფით „არ ექვემდებარება გახმაურებას“ დაიბეჭდა პოლონურ პრესაში. პოლონეთის წამყვან ბეჭდურ მედიაში ასევე გამოქვეყნებულია „თვითმფრინავ „ტუ-154მ“-ის (საბორტო ნომერი 101) ეკიპაჟის საუბრების ტრანსკრიპცია“. აღნიშნული დოკუმენტი სამენოვანია – რუსული, პოლონური და ინგლისური. მათივე ინფორმაციით, თვითმფრინავის ბორტზე ნათქვამი ბოლო სიტყვები იყო: „წასვლა მეორე წრეზე!“ და გაურკვეველი სიტყვები პოლონურ ენაზე.**

### „საზღვარზე“ გადასვლა საშვების საშუალებით შეიძლება

**ე.წ. სამხრეთ ოსეთის ბეჭდვისა და ინფორმაციის კომიტეტის ინფორმაციით, ზნაურის რაიონში ჩატარდა თათბირი, რომელშიც რაიონის განყოფილებებისა და სოფლების ადმინისტრაციების ხელმძღვანელები მონაწილეობდნენ. მათივე ინფორმაციით, თათბირს ასევე ესწრებოდნენ ე.წ. სამხრეთ ოსეთში რუსეთის ფედერალური სამსახურის წარმომადგენელი ვალერი შუშენკო და ზნაურის რაიონში ე.წ. სამხრეთ ოსეთის უშიშროების წარმომადგენელი სოსლან ხუბაევი.**

**რუსეთის „ეფ-ეს-ბეს“ წარმომადგენელმა ვალერი შუშენკომ თათბირის მონაწილეებს განუცხადა, მოსახლეობისათვის ეცნობებინათ, რომ „სამხრეთ ოსეთისა და საქართველოს სახელმწიფო საზღვრის“ გადალახვისათვის აუცილებელია საშვების აღება.**

**მისი თქმით, საჭირო საშვების აღება შეიძლება ახალგორის რაიონში არსებულ საზღვრის გადაკვეთის დადგენილ პუნქტებზე.**

**– იმ ადამიანებს, რომლებიც სამხრეთ ოსეთისა და საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთას აპირებენ, ეს ახალგორის რაიონში არსებული დადგენილი პუნქტების გავლით უნდა გააკეთონ. ეს პროცედურა აუცილებელია სხვადასხვა სახის ინციდენტებისა პროვოკაციების თავიდან აცილებისათვის, რომლებიც საზღვარზე ხდება, – განაცხადა შუშენკომ.**

ჯი-ეიჩ-ენი

ეს უნდა ვიცოდეთ

# რა სამართლებრივი ურთიერთობაა მშობლებსა და შვილებს შორის

რუბრიკას უძღვება „საქართველოს რესპუბლიკის" იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი

**მრავალრიცხოვან მკითხველთა ინტერესის გათვალისწინებით, დღეს მშობლებსა და შვილებს შორის სამართლებრივ ურთიერთობათა წარმოშობის საფუძვლებზე გესაუბრებით, ხოლო ალიმენტის გადახდისა და გადახდევინების წესსა და პირობებზე შემდგომში მივაწვდით კანონიდან გამომდინარე, ზუსტ ინფორმაციას დაინტერესებულ მკითხველს.**

მშობლების უფლება-მოვალეობის წარმოშობის საფუძველია შვილების მშობლებისგან შთამომავლობით დაბადება. შვილებსა და მშობლებს შორის უფლებრივი მოვალეობების წარმოშობა ხდება ბავშვის დაბადებისთანავე. ქორწინებაში მყოფ დედას და მამას დაბადების ჩაწერის წიგნში მშობლებად შეიტანენ ერთ-ერთი მეუღლის განცხადებით. განცხადების შეტანა შეიძლება როგორც ბავშვის დაბადების რეგისტრაციისას, ასევე მას შემდეგ, დროის განუსაზღვრელად.

მშობელთა ერთობლივი განცხადების უქონლობის შემთხვევაში, მამობის დადგენა ხდება სასამართლოს წესით ბავშვის დედის, მეურვის ან იმ პირის განცხადების საფუძველზე, რომლის კმაყოფაზეც იმყოფება ბავშვი, აგრეთვე ბავშვის განცხადებით, მისი სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ. სრულწლოვანი მოქალაქე უფლებამოსილია წინააღმდეგობა გაუწიოს დაბადების მოწმობაში მამად იმ პირის შეტანას, რომელიც თავის დროზე არ მონაწილეობდა ბავშვის აღზრდაში.

მამობის დადგენა შიძლება მამის გარდაცვალების შემდეგაც, ასეთ შემთხვევაში სასამართლომ უნდა დაადასტუროს ის ფაქტი, რომ გარდაცვლილი თავს სიცოცხლეში ბავშვის მამად აღიარებდა ან ბავშვი იმყოფებოდა მის კმაყოფაზე. მამობის დადგენით ბავშვი იპოვებს მემკვიდრეობის უფლებას, აგრეთვე მამის გარდაცვალების შემთხვევაში მარჩენალის დაკარგვის გამო პენსიის მიღების უფლებას.

მამობის დადგენისას სასამართლო მხედველობაში იღებს ბავშვის დედისა და მოპასუხის ერთად ცხოვრებას, საერთო საოჯახო მეურნეობის წარმოებას ბავშვის დაბადებამდე ან ბავშვის ერთობლივ აღზრდასა და რჩენას. ბავშვის დედისა და მოპასუხის ერთად ცხოვრებას ადგილი უნდა ჰქონდეს ბავშვის დაბადებამდე ადრეული დროის განმავლობაში, ამასთან სავალდებულო არ არის, რომ ისინი ერთად ცხოვრობენ ბავშვის დაბადებამდე მთელი დროის განმავლობაში. როგორც აღვნიშნეთ, საკმარისია მათ ერთად იცხოვრონ განსაზღვრული დროით და აწარმოონ საოჯახო მეურნეობა.

***აღსანიშნავია, რომ როცა ორივე მშობელი მოქალაქეობას იცვლის, მაშინ იცვლება შვილების მოქალაქეობაც — თუ ბავშვებს 14 წლისათვის არ მიუღწევიათ, ხოლო 14-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის მოქალაქეობის შეცვლა უნდა მოხდეს მათთან შეთანხმებით.***

მამობის დასადგენად სასამართლო ხშირად მიმართავს ექსპერტიზას. ექსპერტიზის შემდეგი სახეები არსებობს:

- **გრაფიკული;**
- **სასამართლო - სამედიცინო ;**
- **უროლოგიური და სხვა.**

გრაფიკული ექსპერტიზა ინიშნება მაშინ, როცა დგინდება, არის თუ არა პირი იმ ბარათის ავტორი, რომლითაც აღიარებულია ბავშვის მამობა.

უფრო ხშირად ბავშვის მამობის დასადგენად სასამართლო ნიშნავს სასამართლო- სამედიცინო ექსპერტიზას. სისხლის ბიოლოგიური ექსპერტიზის დროს დგინდება მისი ჯგუფობრივი და ინდივიდუალური კუთვნილება, ამიტომ იგი მამობის გამორიცხვისა და არა დადგენის საშუალებაა.

უროლოგიური ექსპერტიზა ინიშნება მაშინ, როდესაც მოპასუხე გამორიცხავს ბავშვის მამობას, ვინაიდან მისი განცხადებით მას არა აქვს განაყოფიერების უნარი.

ბავშვს, რომლის წარმოშობა დადგენილია მშობელთა ერთობლივი განცხადებით ან სასამართლოს გადაწყვეტილებით, მშობლებისა და მათი ნათესაობის მიმართ აქვს ისეთივე უფლებები, როგორც დაქორწინებულ პირთაგან წარმოშობილ ბავშვს.

ქალისა და მამაკაცის შემთხვევითი კავშირი არ იძლევა საფუძველს სასამართლოს წესით მამობის დადგენისათვის.



### მშობლებისა და შვილების პირადი უფლება-მოვალეობანი

მშობლებისა და შვილების პირად უფლება-მოვალეობებს მიეკუთვნება შვილისათვის გვარის, სახელისა და მამის სახელის მიცემა, მშობლის უფლება- მოვალეობაა, როგორც შვილის აღზრდასა და სწავლაზე ზრუნვა, ისე მისი არასრულწლოვანი შვილის ინტერესების წარმოდგენა.

- შვილს გვარს აძლევენ მშობლები ქორწინების რეგისტრაციის დროს. შვილის გვარი განისაზღვრება მშობლების გვარის მიხედვით, თუ მშობლებს საერთო გვარი აქვთ, მაშინ ბავშვსაც მიეკუთვნება ეს გვარი, მაგრამ როცა დედ-მამას განსხვავებული გვარი აქვთ, ბავშვს მიეკუთვნება მამის ან დედის გვარი, მშობელთა შეთანხმებით. გამორიცხული არ არის, რომ ერთი და იგივე მშობლებისაგან წარმოშობილი ბავშვები ატარებდნენ სხვადასხვა გვარს (დედის ან მამისძ. როცა ბავშვები შეეძინებათ დაუქორწინებელ მშობლებს და არ არსებობს მშობელთა ერთობლივი განცხადება ბავშვის მამის გვარზე გატარების შესახებ, დაბადების ჩაწერის წიგნში მამის გვარის ადგილზე შეიტანება დედის გვარი. არ შეიძლება, რომ არასრულწლოვანი შვილი ატარებდეს მშობლებისგან განსხვავებულ გვარს.

შვილის გვარის გამოცვლის საკითხი დგება მშობლის მიერ გვარის გამოცვლის შემთხვევაში; თუ გვარს იცვლის ორივე მშობელი, მათ არასრულწლოვან შვილებს ავტომატურად ეცვლებათ გვარი, ხოლო თუ გვარს ერთი მშობელი იცვლის, არასრულწლოვანი ბავშვისთვის გვარის გამოცვლის საკითხი უნდა გადაწყდეს მშობელთა შეთანხმებით.

სრულწლოვანმა შვილებმა შეიძლება მიიღონ ნებისმიერი გვარი, თუნდაც იგი არ ემთხვეოდეს დედის ან მამის გვარს. გვარის გამოცვლის საფუძველი შეიძლება გახდეს მისი არაკეთილხმოვნება, წარმოთქმის სიძნელე და სხვა.

***სრულწლოვანმა შვილებმა შეიძლება მიიღონ ნებისმიერი გვარი, თუნდაც იგი არ ემთხვეოდეს დედის ან მამის გვარს. გვარის გამოცვლის საფუძველი შეიძლება გახდეს მისი არაკეთილხმოვნება, წარმოთქმის სიძნელე და სხვა.***

- ბავშვებს სახელი დაერქმევათ მშობელთა შეთანხმებით. მშობელთა სურვილის გაუთვალისწინებლობა შვილის სახელის შერჩევის დროს შეიძლება გახდეს საეჭვო ჩანაწერის გაუქმების საფუძველი. როგორც წესი, ადამიანს სახელი ერქმევა სამუდამოდ, მაგრამ გამორიცხული არ არის მისი გამოცვლის შესაძლებლობა.

აღსანიშნავია, რომ როცა ორივე მშობელი მოქალაქეობას იცვლის, მაშინ იცვლება შვილების მოქალაქეობაც — თუ ბავშვებს 14 წლისათვის არ მიუღწევიათ, ხოლო 14-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის მოქალაქეობის შეცვლა უნდა მოხდეს მათთან შეთანხმებით.

მოქმედი კანონმდებლობით, როცა ხდება ახალი ნიმუშის პასპორტის გაცემა, პიროვნების ეროვნება მასში არ აღინიშნება, მხოლოდ მოქალაქეობა იწერება, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი საქართველოს მოქალაქეა.

- მშობელთა პირად ურთიერთობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს შვილების აღზრდის უფლებას. დედ-მამა სარგებლობს თანაბარი უფლება-მოვალეობით შვილების მიმართ. შვილების აღზრდის საკითხს მშობლები წყვეტენ ურთიერთშეთანხმებით. შეუთანხმებლობის შემთხვევაში მათ შეუძლიათ მიმართონ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს. შვილების მიმართ თანაბარი უფლება-მოვალეობანი გააჩნიათ განქორწინებულ მეუღლეებსაც. თუ ცალ-ცალკე მცხოვრები მეუღლეები ვერ შეთანხმდნენ შვილებთან ურთიერთობის წესზე, მაშინ ასეთ წესს დაადგენს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო, რომელიც სავალდებულო იქნება ორივე მშობლისათვის.
- ცალ-ცალკე მცხოვრებ მშობლებს შეიძლება უარი ეთქვათ შვილებთან ურთიერთობაზე, იმ შემთხვევაში, თუ დგინდება, რომ ასეთი ურთიერთობა ხელს უშლის ბავშვის ნორმალურ აღზრდას. მშობელს არ შეიძლება სამუდამოდ ჩამოერთვას შვილებთან ურთიერთობის უფლება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მას ჩამორთმეული აქვს მშობლის უფლება. თუ მშობლები არ ეთანხმებიან მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს გადაწყვეტილებას შვილებთან ურთიერთობის წესზე, მაშინ ამ უკანასკნელთ უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს, რომლის გადაწყვეტილება სავალდებულოა, გასაჩივრებას არ ექვემდებარება და საბოლოოა ორივე მშობლისათვის.
- საკანონმდებლო წესით დამტკიცებულია ბებიისა და პაპის უფლება იქონიონ ურთიერთობა შვილიშვილებთან. ბებიის და პაპის ინტერესების დაცვის მიზნით კანონი ადგენს წესს, რომლის თანახმადაც მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებს შეუძლიათ დაავალდებულონ მშობლები მისცენ საშუალება პაპასთან და ბებიასთან იქონიონ ურთიერთობა შვილიშვილებმა და განსაზღვრავს კიდეც ამ ურთიერთობის წესს.

***მამობის დადგენა შიძლება მამის გარდაცვალების შემდეგაც, ასეთ შემთხვევაში სასამართლომ უნდა დაადასტუროს ის ფაქტი, რომ გარდაცვლილი თავს სიცოცხლეში ბავშვის მამად აღიარებდა ან ბავშვი იმყოფებოდა მის კმაყოფაზე. მამობის დადგენით ბავშვი იპოვებს მემკვიდრეობის უფლებას, აგრეთვე მამის გარდაცვალების შემთხვევაში მარჩენალის დაკარგვის გამო პენსიის მიღების უფლებას.***

- მშობლებს უფლება აქვთ განსაზღვრონ არასრულწლოვანი შვილის საცხოვრებელი ადგილი, რაც განმტკიცებულია კანონით, რომლის მიხედვითაც არასრულწლოვანი შვილის საცხოვრებელ ადგილად ითვლება მშობლების საცხოვრებელი ადგილი.
- თუ მშობლები ცალ-ცალკე ცხოვრობენ, მათ შეთანხმებაზეა დამოკიდებული, თუ რომელ მშობელთან იცხოვრებს არასრულწლოვანი შვილი. შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავას წყვეტს სასამართლო.
- მშობლის უფლება — აღზარდოს შვილები გულისხმობს იმასაც, რომ შვილები იმყოფებოდნენ მშობლებთან. საკითხი, შვილის რომელიმე მშობელზე გადაცემის შესახებ, წამოიჭრება მაშინ, როცა გარდაიცვლება ის მშობელი, რომელთანაც ცხოვრობდა ბავშვი, მისი ნათესავები კი უარს ამბობენ ბავშვის აღსაზრდელად მეორე მშობლისათვის გადაცემაზე. ასეთ შემთხვევაში მშობელს უფლება აქვს სასამართლოს წესით მოითხოვოს ბავშვის დაბრუნება. მსგავსი დავების განხილვის დროს მხედველობაში მიიღება 16 წელზე მეტი ასაკის ბავშვის სურვილი, იცხოვროს თუ არა მშობელთან.
- მშობლის მიმართ, რომელიც ბოროტად იყენებს უფლებას, ახორციელებს მას შვილის ინტერესების საწინააღმდეგოდ, კანონი ითვალისწინებს მშობლის უფლების ჩამორთმევას. მშობლის უფლების ჩამორთმევას შეიძლება ადგილი ჰქონდეს მაშინ, თუ ორივე ან ერთ-ერთი მშობელი: აძ თავს არიდებს შვილების აღზრდის მოვალეობას; ბძ ბოროტად იყენებს მშობლის უფლებას, მავნე გავლენას ახდენს მასზე ანტისაზოგადოებრივი ყოფაქცევით; გძ არის ქრონიკული ლოთი ან ნარკომანი.
- **არ დაიშვება მშობლის უფლების აღდგენა გაშვილებულ შვილზე. კანონი ითვალისწინებს ბავშვის ჩამორთმევას მშობლის უფლების ჩამორთმევის გარეშეც. ბავშვის ჩამორთმევის პირობაა საფრთხე, რომელიც ელოდა მის სიცოცხლეს მშობლისაგან. ასეთი საფრთხე შეიძლება იყოს ინფექციური სენით დაავადება. ასეთ შემთხვევაში მშობლის უფლების ჩამორთმევა განსაზღვრულ დროს ექვემდებარება. საკითხს, მშობლისათვის შვილის ჩამორთმევის შესახებ, წყვეტს სასამართლო. მშობლისათვის შვილის ჩამორთმევა არ იწვევს მშობლიური ურთიერთობის შეწყვეტას, როგორც მშობელი, ისე შვილი ინარჩუნებენ ალიმენტის მიღების უფლებას, ერთ-ერთის გარდაცვალების შემდეგ მემკვიდრეობის უფლებას და ასევე უფლებას პენსიის დანიშვნაზე.**

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# საქართველოს გული და ადგილი. მზერა ვაშინგტონიდან და ლონდონიდან

**საქართველოს როლი და ადგილი ამჟამინდელ გეოპოლიტიკურ დანაწილებაში მრავალმხრივ არის განპირობებული იმ კორექტირებებით, რომლებიც მოხდა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროპის წამყვანი სახელმწიფოების კავკასიურ პოლიტიკაში. ამ პრობლემის კვლევანი გვიჩვენებენ, რომ ამჟამად ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროპის წამყვანი სახელმწიფოების პოზიცია ბევრ რამეში ემთხვევა ერთმანეთს, თუმცა ეს სწორია მხოლოდ უახლოეს პერსპექტივაში და მრავალმხრივ სხვადასხვაგვარია, თუ მხედველობაში მივიღებთ სამომავლოდ საშუალოვადიან პერიოდს**

ამ შემთხვევაში შეცდომა იქნებოდა გვემტკიცებინა, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროპის მიზნები და ხერხები რეგიონალურ პოლიტიკაში ემთხვევა ერთმანეთს ან დაიწყეს დამთხვევა. მსოფლიოს ორივე ცენტრს სხვადასხვა ძალები აქვთ და განსხვავდებიან ერთმანეთისაგან მიზნობრივი ამოცანებითა და ინტერესებით. და ეჭვი ვიქონიოთ, რომ მათი მიზნები ერთმანეთს ემთხვევა, შეცდომა იქნებოდა. რაც შეეხება კავკასიას, ამ რეგიონში მხოლოდ 2 ქვეყანას აქვს ერთგვარი ოპერაციული შესაძლებლობანი და მხოლოდ მათ შეუძლიათ წამოაყენონ რაიმე ინიციატივები და უზრუნველყონ რეგიონის უშიშროება თავიანთი წარმოდგენის შესაბამისად.

არც ევროპას, არც ირანს, არც თურქეთს არ შეუძლიათ მოახდინონ რეგიონზე რაიმე არსებითი გავლენა, და შექმნან სახელმწიფოთაშორისი სახელშეკრულებო ალიანსები, ანდა მიაღწიონ სტრატეგიული მნიშვნელობის შეთანხმებას, რაც გავრცელდება მთელს რეგიონზე. ამჟამად ევროპაში ერთგვარად კმაყოფილნი არიან იმით, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ავლენს უფრო დაბალ აქტივობას კავკასიაში, რაც ევროპელებს აძლევს საშუალებას არ გამოაჩინონ თავისი პასიურობა და ნამდვილი ინტერესების უქონლობა. ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპის სახელმწიფოებს შორის არსებობს ერთობ ფორმალური შეთანხმება კავკასიასთან დაკავშირებით და, წამყვანი ექსპერტების აღიარებით, მნიშვნელოვანი პოლიტიკური მასალა, რაც დაგროვდა წინა წლებში დასავლეთის გაერთიანებაში კავკასიის საკითხთან დაკავშირებით, პრაქტიკულად არ ამოქმედდა. მაგრამ ეს დასკვნებიც არ შეიძლება განვიხილოთ როგორც განმსაზღვრელები ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროპის წამყვანი სახელმწიფოების პოლიტიკისა კავკასიასთან დაკავშირებით. 2000-იანი წლების განმავლობაში, ევროპის პოლიტიკური წრეები, მათ შორის ბრიტანეთისაც, ცდილობენ ჩამოაყალიბონ მეტად თუ ნაკლებად დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა, რაც შეეხება არა მხოლოდ ევროპის კავშირს, არამედ საფრანგეთის, გერმანიისა და დიდი ბრიტანეთის „უშუალო“ პოლიტიკასაც. მათ ცდილობდა შეერთებოდა იტალიაც. ამჟამად ამერიკელებსა და ევროპელებს შორის ჩამოყალიბდა გარკვეული საკონკურენციო პრაქტიკა აღმოსავლეთ ევროპისა და ევრაზიის საკითხზე, რომლის ფარგლებშიც კავკასია განიხილება არა როგორც ყველაზე მნიშვნელოვანი, თუმცა, ყველაზე პრობლემატური რეგიონი. ევროპელებმა, პრაქტიკულად, ვერ შეძლეს წამოეყენებინათ რაიმე საგნობრივი ინიციატივა კავკასიასთან დაკავშირებით, და გამოარკვიეს, რომ შეუძლიათ მეტ-ნაკლებად აქტიურად წარმოაჩინონ თავისი პოლიტიკური ყოფნა კავკასიაში მხოლოდ რუსეთთან თანამშრომლობით, მისი ჩართვით ევროპის პოლიტიკურ და გეოპოლიტიკურ პროცესში. ეს წარმოჩინდა ნიკოლა სარკოზის პოლიტიკით რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის დროს და მის შემდეგ, როდესაც ევროპამ და რუსეთმა შეძლეს, პრაქტიკულად პირველად, ნაწილობრივ გამოედევნათ ამერიკის შეერთებული შტატები „კავკასიური პროცესიდან“.

ევროპელებს სურდათ „დაეკონსერვებინათ“ კავკასიის თემა, გამოეყვანათ იგი აქტუალური საერთაშორისო დისკუსიიდან და ამით შეემცირებინათ ამერიკის შეერთებული შტატების გავლენა აღმოსავლეთ ევროპაში, გაეთამაშებინათ ეს თემა რუსეთთან ურთიერთობაში, როდესაც ევროპა შეძლებდა დაუბრკოლებლად მოეხდინა ზემოქმედება რუსეთზე. არც ერთი წამყვანი ევროპული სახელმწიფო არ იყო მზად და არც ამჟამადაა მზად კავკასიის თემის სერიოზული განხილვისთვის. ევროპული ორგანიზაციების სისტემა ამ საკითხში ავლენს არაადეკვატურობას. რეგიონში ევროპის გააქტივებასთან დაკავშირებულ მოლოდინს ხსნიან პოლიტიკოსებისა და ექსპერტების პოლიტიკური უუნარობით. ისეთი შეზღუდული პროგრამაც კი, როგორიცაა „აღმოსავლური პარტნიორობა“, შეიცავს ტიპურ ევროპულ გეოპოლიტიკურ მინიმალიზმს. თუ ევროპელები გახდებიან კიდევ უნარიანნი, ან უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, შეიძენენ ახალ ამბიციებს კავკასიასთან და აღმოსავლეთ ევროპის სხვა რეგიონებთან დაკავშირებით, – ისიც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საფრანგეთი და გერმანია მიიღებენ გადაწყვეტილებას გაავრცელონ თავისი (და სრულიადაც არაევროპული) გავლენა ევროპის აღმოსავლეთზე. დიდმა ბრიტანეთმა, გარკვეულწილად, დაკარგა ინტერესი კავკასიისადმი გეოპოლიტიკური მოსაზრებებით. უბრალოდ, მთავარი ამოცანები შესრულდა. კავკასია მაინც კვლავ რჩება დიდი ბრიტანეთის თვალსაწიერში, მაგრამ საერთო გეოპოლიტიკურ ამოცანებთან დაკავშირებით – უკვე გაცილებით ნაკლებაქტიურ როლში. გარკვეულწილად დიდი ბრიტანეთის პოლიტიკის მოტივაციამ განსაზღვრა კიდეც ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკა კავკასიასთან დაკავშირებით.

ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკა კავკასიის რეგიონთან დაკავშირებით



ამჟამად განპირობებულია ამ სახელმწიფოს გლობალური პრიორიტეტებით, რომელთა რიცხვსაც განეკუთვნება კავკასია. ყოველთვის იყო ძლიერი ეჭვი იმაში, რომ კავკასია ეს არ არის „თვითსაკმარისობის“ მიზანი ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკაში, მაგრამ ჯერ კიდევ ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციის დროს მოხდა კავკასიის მნიშვნელობის ერთგვარი დევალვაცია. ამერიკის შეერთებული შტატები ამჟამად კავკასიას უყოფს ძველ ფუნქციებს. ესენი ორია: სამხედრო ტრანზიტი, აგრეთვე ნავთობისა და გაზის მოპოვება და ტრანსპორტირება. ყველა დანარჩენი საკითხი იყო და რჩება ქვედამოკიდებულად. გარკვეულ ეტაპებზე ამერიკის შეერთებული შტატები ცდილობდა გამოეყვანა კავკასია უშიშროების მომხმარებლის როლიდან და გაეხადა ისინი ისეთ ქვეყნებად, რომლებიც თავად უზრუნველყოფენ საკუთარ უშიშროებას.

მაგრამ ეს ვერ მოხერხდა. რეგიონის ქვეყნები, თანაც ყველა, ითხოვდნენ არ მიენიჭებინათ მათთვის უფრო მეტი მნიშვნელობა, და განეხილათ ეს ქვეყნები, როგორც „მოედნები“ უფრო მასშტაბური სტრატეგიებისათვის. ამ დროს, იმასთან დაკავშირებით, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა სხვაგვარად დაიწყო კასპიის ნავთობის მნიშვნელობის განხილვა და ზედმეტად პოლიტიზირებული ნავთობსადენი ბაქო-ჯეიჰანი აღარ არის ამერიკის შეერთებული შტატების საოპერაციო სისტემის ელემენტი, სამხედრო ტრანზიტმა კი მიიღო ალტერნატიული მარშრუტები, კავკასიის ამ წინანდელმა ფუნქციებმა მაინც დაკარგეს თავისი როლი. საკითხი იმის შესახებ, თუ რა პირობებში, სტაბილიზაციისა თუ კონფრონტაციის პირობებში, კავკასიის როლი შეიძლება გაიზარდოს – ყოველივე ამაზე გონივრული პასუხი ჯერჯერობით არ არის. შემცირება ჯერჯერობით ატარებს არა გეოპოლიტიკურ, არამედ უფრო მეტად სიტუაციურ ხასიათს, მაგრამ ამ სიტუაციამ შეიძლება შეიძინოს ქრონიკული ხასიათი როგორც ამას ადგილი ჰქონდა წინა იმპერიების დროს, ათეული წლების განმავლობაში. მაგრამ სწორედ ეს საბაზო ვითარება გახდა რეგიონის სახელმწიფოების დღევანდელი მდგომარეობის საგარეო და საშინაო პირობა.

თუ განვიხილავთ საქართველოს ამჟამინდელ მდგომარეობას, იგი შესაშური არაა, და ქვეყანა დგას კითხვისნიშნის პოზაში. ცდილობს გაიგოს, თუ რას მოუსმენს ვაშინგტონიდან, არა ფორმალური კომპლიმენტების რეჟიმში, არამედ ამერიკის შეერთებული შტატების რეალური პოლიტიკის შესაბამისად. აზერბაიჯანმა შეიძლება გაიგო, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გამოძებნა საბაბი მისი როლის უგულებელყოფისთვის რეგიონალურ პოლიტიკაში, და აძლევს მას შესაძლებლობას თავად გამოარკვიოს თავისი ურთიერთობანი სომხეთთან სამხედრო ხერხების გამოუყენებლად. აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს ეძლევათ შესაძლებლობა – განამტკიცონ თავიანთი სახელმწიფოებრიობა საქართველოს ინტერესების რეალური უგულებელყოფის პირობებში ყველა მსოფლიო და რეგიონალური ცენტრების მხრიდან. სომხეთსა და მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკას სულ არ გააჩნიათ უნარი განსაზღვრონ ის უპირატესობანი, რაც მიიღეს ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკის შედეგად და აგრძელებენ წვრილმან დავებს იმის ნაცვლად, რომ მიიღონ გამოწვევა, რასაც ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგია ეწოდება თურქეთის ექსპანსიის შეჩერებაში. რასაკვირველია, შეიძლებოდა აღგვენიშნა, რომ ასეთ პირობებში სომხეთი აღმოჩნდა მნიშვნელოვან მოგებაში, და ამერიკის შეერთებული შტატების წყალობით შეიძინა უფრო მნიშვნელოვანი როლი რეგიონში, უფრო სწორად კი – თურქეთის საგარეოპოლიტიკური ამბიციების შეკავების ფუნქცია. მაგრამ ამჯერად პრობლემა არა საგარეო ფაქტორებშია, არამედ თავად სომხეთის პოლიტიკაში, რომელიც ხელმძღვანელობს სრულიად სხვა ლოგიკით.

ამჟამად დასავლეთისა და რუსეთის საექსპორტო გაერთიანება მაზოხისტურად ადევნებს თვალყურს ქართული „ექსპერიმენტის“ სამწუხარო შედეგებს, არ აძლევს არავითარ შანსს თავად საქართველოს და, მით უმეტეს მიხეილ სააკაშვილს. თუ იყო კიდეც ერთგვარი, თუნდაც მარგინალური, საგარეო ფაქტორები, რომლებმაც უბიძგეს მ.სააკაშვილს სამხედრო მცდელობისკენ, არავინ, ამ პოლიტიკის მოწინააღმდეგეთა რიცხვიდანაც კი არ ცდილობს ბრალი დასდოს ვინმე სხვას, გარდა მ.სააკაშვილისა. საქართველოს ამჟამინდელი პრეზიდენტი, განგებ თუ უგუნურობით, უსმენს ხმას ვაშინგტონიდან, რომელსაც არავითარი მნიშვნელობა არ გააჩნია, აღიქვამს რაღაც მნიშვნელოვნად, პრინციპულად და ცდილობს წავიდეს ბევრი სახელმწიფოს გზით, რომლებიც ერთდროს იყვნენ ამერიკის შეერთებული შტატების აქტიური მოკავშირეები, შემდეგ კი თავიანთი ნებით ასეთებად აღარ დარჩნენ. სააკაშვილის ვიზიტმა ვაშინგტონში ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის სამიტზე აჩვენა მთელი აბსურდი იმისა, რასაც „სტრატეგიული თანამშრომლობა“ ეწოდება. საქართველო აგრძელებს ამერიკის შეერთებული შტატებიდან შეიარაღებისა და საფინანსო დახმარების მიღებას, მაგრამ ეს ხდება „გარდამავალი პერიოდის“ ფარგლებში. იმის გათვალისწინებით, თუ ვინ იქნება მომავალში ხელისუფლების სათავეში საქართველოში. ამერიკელი ექსპერტები ამბობენ, რომ დასავლეთის არც ერთ დედაქალაქში არ მიაჩნიათ შესაძლებლობად მ.სააკაშვილის ყოფნა ხელისუფლების სათავეში პრეზიდენტის ვადის ამოწურვის შემდეგ, და მისი საქმიანობის ამჟამინდელი პერიოდი სრულად შეესაბამება ამოცანებს, უფრო სწორად კი – ამოცანების უქონლობას ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან კავკასიასთან დაკავშირებით.

ამერიკის შეერთებულ შტატებს აქვს გარკვეული საგარეოპოლიტიკური პრიორიტეტები, ეს არის ავღანეთი და ჩინეთი, სხვა წერტილები პლანეტაზე, და ის არ აპირებს შეიძინოს თავის ტკივილი ტრანზიტული სახელმწიფოებით. მ.სააკაშვილმა სწორად შეაფასა სიტუაცია და გადაწყვიტა, რომ საქართველოს, ან უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, თავად მას სჭირდება ლობიზმი. ჩნდება საკითხი, რატომ გაჩნდა ქვეყნის ინტერესების ლობირების საჭიროება, რომელიც იმყოფება ამერიკის შეერთებულ შტატებთან სტრატეგიულ პარტნიორობაში. და რას მოგვცემს ამ შემთხვევაში ლობიზმი, როდესაც საქართველოს ინტერესები და მოთხოვნები მეტად და კარგად გასაგებია, ცნობილია და შესწავლილი ამერიკის შეერთებული შტატების მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად, შესაძლებლობა პოლიტიკური ძალებისა და პოლიტიკური ამოცანების დეფინაციის ნაწილში. ვითარება საქართველოში უკიდურესად განსაზღვრულია და დეტერმინირებული, ამიტომ შეცვალოს თავისი დამოკიდებულება საქართველოს მიმართ ამერიკის შეერთებული შტატებისთვის, ნიშნავდა ცვლილებას სტრატეგიასა და პრიორიტეტებში საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებით. ჩნდება მხოლოდ ერთი ამოცანა, რაც საქართველოში სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა ფულის გათეთრების უნარს. ესეც ცნობილი მეთოდია მსოფლიოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ლობიზმში.

ამასთან ერთად, გარდა საერთო გეოპოლიტიკური პრიორიტეტებისა, რომლებიც განაპირობებენ კავკასიისა და საქართველოს როლის კორექტირებას მსოფლიოში, არის გარკვეული ვითარებანი, რომლებმაც აბურდეს სიტუაცია, თუმცა ინარჩუნებენ თავის მნიშვნელოვან როლს რეგიონალურ სიტუაციაში. ამერიკელებს დიდად არ აძლევთ ხელს, მაგრამ მათთვის მაინც ხელსაყრელია მ.სააკაშვილის ყოფნა საქართველოს პრეზიდენტის პოსტზე, რაც გამორიცხავს მოულოდნელობას საგარეოპოლიტიკური ორიენტაციის ნაწილში, არასტაბილურია, მაგრამ შედარებით იოლად სამართავი სიტუაციაა ქვეყანაში. ამჟამინდელი სიტუაცია უხსნის ამერიკის შეერთებულ შტატებს ყოველგვარ პასუხისმგებლობაში აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დაკარგვასთან დაკავშირებით. გამორიცხავს სიტუაციის არასტაბილურობას ნავთობსადენებისა და გაზსადენების ტრასებზე, ვინაიდან რუსეთმა აჩვენა ამერიკის შეერთებულ შტატებთან თანამშრომლობის მზადყოფნა ეკონომიკური და სამხედრო კომუნიკაციებისათვის სფეროში, და რომ თავადაც არ არის დაინტერესებული ამ კომუნიკაციების ზიანის მიყენებაში. ამერიკელები მეტად ეჭვობენ რუსეთ-ჩინეთის ალიანსის განვითარების პერსპექტივაში და იმედი აქვთ, რომ რუსეთი შეუერთდება ევროპულ სტრატეგიულ გეგმებს.

პოლიტიკურ ისტორიაში საკმაოდ ხშირად ხდება ისე, რომ ხანგრძლივი დისკუსიების შემდეგ ღებულობენ მოდელს, რომელიც დიდი ხანია უკვე ბანალურია, მაგრამ ასეთი მოდელების არსი არის ის, რომ გარკვეულ პერიოდში ყველაზე მისაღები ხდება, ვინაიდან კომპრომისულია. საქართველოსთან დაკავშირებით რაიმე საგნობრივი დისკუსია არ მიმდინარეობს, ყველაფერი, რაც ხდება, ესაა დაუსრულებელი ლაყბობა რუსეთის ზემოქმედებასთან და კრიტიკასთან დაკავშირებით, რაც უკვე ბევრს აღარ აღელვებს. ამიტომ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში რეგიონალური თამაშის ორი ძირითადი ფაქტორი – რუსეთი და ამერიკა – მივლენ დასკვნამდე, რასაც დაეთანხმებიან საქართველოში, ყოველ შემთხვევაში ის წრეები მაინც, რომლებიც მიეკუთვნებიან პოლიტიკურ და საზოგადოდ აქტიურ კლასს. საკითხი შეეხება საქართველოს ნეიტრალიტეტს ამა თუ იმ ფორმით, საქართველო მიიღებს უშიშროების გარანტიებს, მის ამჟამინდელ ფაქტობრივ საზღვრებში.

პრაქტიკულად ეს უკვე მისაღები გახდა ამჟამინდელი პრაგმატიკოსებისთვის თბილისში. იქნება ერთგვარი დაპირისპირება, მაგრამ ეს მალე დამთავრდება.

իրավունք

## დედამიწის ზურგზე




**ბელარუსში აპირებენ აკრძალონ რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი ლუკაშენკოს შესახებ ფილმის შემდეგ**

ფილმი „ნათლია ბატკა“, მართალია, არ უჩვენებიათ ბელარუსის ტელევიზიით, მაინც აქტიურად განიხილება ინტერნეტის მეშვეობით. მინსკში ვიდეოროლიკები ათეულ ათასობით კაცმა ნახა. ცენზურის პირველი მსხვერპლი გახდა საიტი „ვიტებსკის კურიერი“, რომელმაც აჩვენა როლიკი ფილმით.

* * *

**თვითმფრინავმა, რომელიც მუშაობდა მზის ენერგიაზე, წარმატებით შეასრულა სადღეღამისო ფრენა**



დღისით ეს თვითმფრინავი ზევით-ზევით მიდიოდა, პროპელერების მეშვეობით, რომლებიც მუშაობდნენ ელექტროძრავებით, და რომლებიც ელექტრობას ღებულობდნენ მზის ბატარიებიდან. საღამოსთვის მან დაბლა დაშვება დაიწყო, თანაც პროპელერები მუშაობდნენ დაგროვილი ენერგიის ხარჯზე.

* * *

**ნატო შეისყიდის რუსეთის შვეულმფრენებს ავღანეთისთვის – აშშ-ს კონგრესის პროტესტები ყურად არ იღეს**



რუსეთი და ნატო ახლო არიან გარიგების დადებასთან ავღანეთში 21 ახალი შვეულმფრენის ერთობლივი მიწოდების შესახებ სამხედრო აღჭურვილობის თვალსაზრისით. ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესი ცდილობს ჩაშალოს გარიგება, მოითხოვს პენტაგონისგან, მიაწოდოს ავღანეთს არა რუსული შვეულმფრენები, არამედ ამერიკული.

* * *

**ინდოეთში 6 მუშა ჩაიხრჩო პამიდორის ნაწურის ორმოში**

ინციდენტი მოხდა კეტჩუპის წარმოების ქარხანაში ქალაქ ლაკნაუსში. ორმოში ჯერ ჩავარდა ქალი, რომელსაც ფეხი დაუცდა, მის გადარჩენას შეეცადა 5 მამაკაცი კოლეგა. ორმოს სიღრმე 3 მეტრზე მეტია, დაღუპულები იქიდან მეხანძრეებმა ამოიყვანეს.



ჩვენი კარაბადინი

# შორს თრომბისგან!

## თუ მას დროზე გამოვავლენთ, სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება

**ფილტვის არტერიის თრომბოემბოლიისგან (სისხლძარღვთა დაცობისგან) უამრავი ხალხი იღუპება. მარტო რუსეთში, მაგალითად, ყოველწლიურად 100 ათასი კაცი იღუპება, უფრო მეტი, ვიდრე ავტოკატასტროფებში, რეგიონალურ კონფლიქტებსა და კრიმინალურ ინციდენტებში ერთად.**

ყველას ეშინია ავიაკატასტროფების, მაგრამ ცოტამ თუ იცის, რომ მიწაზე მშვიდად დაშვების შემდეგ შეიძლება მოულოდნელად დაეცეს თვითმფრინავის ტრაპთან – თრომბის მოწყვეტის გამო, რომელიც წარმოიქმნა ვენებში ფრენის დროს.

ექიმებს მიაჩნიათ, რომ თრომბი უჩნდება თითოეული ავიარეისის ერთ მგზავრს მაინც. საბედნიეროდ, ყოველი შემთხვევა როდი მთავრდება ტრაგედიით. სტატისტიკის თანახმად, თრომბი ემართებათ ხალხის 70 პროცენტს. რატომ წარმოიქმნება თრომბი? შეიძლება, რომ გამოვავლინოთ საფრთხე? და როგორ დავიცვათ თავი საფრთხისგან?



კრასნოდარის სამხარეო კარდიოცენტრის ექიმებმა გადაარჩინეს უიმედო პაციენტი ქალი, როდესაც გულიდან ამოუღეს 35 სანტიმეტრის სიგრძის თრომბი. ეს სენსაციად იქცა – ამგვარი შემთხვევები ადრე არაოპერაბალურად (საოპერაციოდ შეუძლებლად) მიაჩნდათ. მაგრამ 38 წლის პაციენტი არა მხოლოდ გადარჩა, ერთი წლის შემდეგ ის დაუბრუნდა სამსახურს.

– ამ შემთხვევამ გააქარწყლა მითი იმის შესახებ, რომ თრომბოზი – სასიკვდილო განაჩენია, – გვიამბობს კრასნოდარის სამხარეო კლინიკური საავადმყოფოს მთავარი ექიმის მოადგილე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ანატოლი ზავრაჟნოვი. – დროულად გამოვლენისა და სწორი მკურნალობის დროს ყველაზე დიდი თრომბებიც შეიძლება გავაუვნებლოთ.

### ეს რა უბედურებაა?

**თრომბები – ეს არის სისხლის შენადედები. პრინციპულად ეს ორგანიზმის ბუნებრივი რეაქციაა, რომელიც იცავს მას სისხლის დაკარგვისგან ტრავმების დროს. პრობლემები იწყება, როდესაც თრომბები ეკვრება სისხლძარღვების გვერდებს, წარმოქმნიან საცობს, რომელსაც ნებისმიერ მომენტში შეუძლია მოწყდეს, დაიწყოს ცურვა ვენებსა და არტერიებში, და როდესაც მოხვდება ვიწრო ადგილას, მთლიანად შეწყვიტოს სისხლის მიმოქცევა და ადამიანი მოულოდნელად კვდება.** თრომბოზების ორ სახეობას განასხვავებენ – ვენოზურს და არტერიულს. ვენოზური უფრო ხშირად გვხვდება. იგი სახიფათოა თავისი გართულებებით, რომელთაგანაც ყველაზე მძიმეა ფილტვის არტერიის თრომბოემბოლია (განტოტებათა დაცობა). ქირურგები ამტკიცებენ, რომ სწორედ ამ დაიგნოზით აიხსნება მოულოდნელი სიკვდილის ერთი მესამედი. ავადმყოფთა ნახევარზე მეტი იღუპება ემბოლიის წარმოქმნის პირველი ორი საათის განმავლობაში. არტერიული თრომბები უფრო იშვიათად გვხვდება, მაგრამ ისინი უფრო მზაკვრულები არიან. ისინი სისხლის სწრაფ დინებაში ყოფნის დროს ხშირად წყდებიან, იწვევენ იმ ორგანოს ჯერ სისხლის მომარაგების დარღვევას, რომელსაც არტერია ამარაგებს სისხლით, შემდეგ კი მის დაღუპვას. მაგალითად, კორონარული არტერიების თრომბოზს მივყავართ მიოკარდიუმის ინფარქტთან, ტვინის არტერიებისას – ინსულტთან.

– თრომბების ჩამოყალიბებისთვის აუცილებელია სამი ფაქტორის შეხამება, – აღნიშნავს ანატოლი ზავრაჟნოვი, – სისხლძარღვთა შინაგანი ზედაპირის დაზიანება (წარმოიქმნება ტრავმატული, სიმსივნის ან ანთებით დაავადებათა შემდეგ), სისხლის დინების შენელება (ხდება გულის უკმარისობის, ხანგრძლივი წოლითი რეჟიმისა და ვარიკოზული დაავადების დროს), გაზრდილი სისხლის შედედება (აღინიშნება ტრავმების, ანთებითი პროცესების, ოპერატიული ჩარევებისა და ორგანიზმის გაუწყლოების დროს).

### რისკავს ყველა!

**– ვენოზურ თრომბოზს ქალის სახე აქვს, – ამბობს კრასნოდარის კლინიკური საავადმყოფოს განყოფილების გამგე ივან კოლოტოვკინი. – ქალებს ხშირად ემართებათ ვარიკოზული დაავადება, რომლის დროსაც ფეხებში წარმოიქმნება სისხლის შეჩერება. რაც უფრო გამოხატულია ვარიკოზი, მით მაღალია თრომბოზის საფრთხე. რისკის ჯგუფშია ყველა, ვინც გადაიტანა ოპერაციები და ტრავმები (განსაკუთრებით ქვედა კიდურებისა). სტატისტიკის მიხედვით, ვენოზური სისტემის თრომბოზი უვლინდებათ ავადმყოფების 70 პროცენტს ორთოპედული ოპერაციების შემდეგ.**

თრომბები ხშირად უვლინდებათ ხანდაზმულ ადამიანებს.

– ჰიპოდინამია, რომელიც თან ახლავს ცხოვრების ნაკლებადმოძრავ წესს, იწვევს სისხლის შეგუბებას – დაავადების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორის რისკის პროვოცირებას, – მიაჩნია ივან კოლოტოვკინს.

არტერიული თრომბოზის ყველაზე ხშირი მიზეზი ათეროსკლეროზია. ათეროსკლეროზული ბალთები იწვევენ არტერიების შევიწროებას.

დადასტურებულია ურთიერთდამოკიდებულება მოწევასა და ათეროსკლეროზის წარმოქმნას, მაშასადამე, თრომბების გაჩენას შორის.

### ზაფხული – ეს პატარა სიკვდილია?

**თრომბები უფრო ხშირად წარმოიქმნება ზაფხულში. ამის მიზეზი რამდენიმეა. მთავარი – მოგზაურობანი, უფრო სწორად, მათი თანმხლები ავიაფრენები. ავიამგზავრები დიდხანს სხედან მოუხერხებელ პოზაში, ვენები იჭიმება, დაბალი წნევა და მეტად მშრალი ჰაერი თვითმფრინავის სალონებში ხელს უწყობენ სისხლის შეგუბებას და ორგანიზმის სწრაფ გაუწყლოებას.** თრომბის ჩამოყალიბება რომ თავიდან ავიცილოთ, გაფრენის წინ უნდა მოვიჭიროთ კომპრესიული ტრიკოტაჟი (ის შეამცირებს სისხლის დინებას ფეხებში), მივიღოთ ასპირინის აბი (ის შეამცირებს სისხლის სიბლანტეს), ფრენის დროს კი ხშირად დავიზილოთ ფეხები. მეორე მიზეზია ზაფხულისთვის დამახასიათებელი სურვილი – გავხდეთ. თრომბები ყველაზე ხშირად იმ ქალებს წარმოექმნებათ, რომლებიც დიეტაზე არიან (ზედმეტი სითხის გამოყვანა ორგანიზმიდან – დიეტის საფუძველია, და სწორედ აქედან იწყება ორგანიზმის გაუწყლოება) ან ღებულობენ ჩასახვის საწინააღმდეგო აბებს (ისინი ზრდიან სისხლის შედედებას).

თუ შეიძლება ვიგრძნოთ მიყუჩებული ხიფათი?

– ვენოზური თრომბოზის სიმპტომებია სიმძიმე კუნთებში, შესიება, ვენების გამკვრივება, კანის გალურჯება, ტკივილები, – გვიხსნის ანატოლი ზავრაჟნოვი. – არტერიული თრომბოზის ნიშნები დამოკიდებულია იმაზე, თუ სად არის შედედებული სისხლი. ფეხების არტერიული თრომბების დროს ავადმყოფები ჩივიან მწვავე ტკივილებზე, შეცივებასა და მგრძნობელობის დაქვეითებაზე. მუცლის არტერიების თრომბები იწვევენ პირისღებინებას, ფაღარათს, ტკივილებს მუცელში. ფილტვების არტერიის თრომბოზის სიმპტომებია – ტკივილი მკერდის არეში, ქოშინი, ხველება, გულის რიტმის დარღვევა. ტვინის სისხლის მიმოქცევის ქრონიკული დარღვევა (თავბრუსხვევა, ვიზუალური დარღვევები, მეტყველების გაძნელება) – თავის ტვინის არტერიების თრომბოზის ნიშნებია. თრომბები კორონარულ არტერიებში თავს გვახსენებენ სტენოკარდიით – ტკივილები გულზე ფიზიკური დატვირთვის დროს.

– თუმცა ვენოზური თრომბოზების 30 პროცენტი მიმდინარეობს უსიმპტომოდ, – განაგრძობს ივან კოლოტოვკინი. – ისინი ყველაზე საშიშია. ისინი რომ აღმოვაჩინოთ, უნდა ჩავიტაროთ გამოკვლევა. გეგმიურად აღმოჩენილ თრომბებს კი არ ილებენ, არამედ ადნობენ სპეციალური პრეპარატებით.

**როგორ ამოვიცნოთ თრომბები?**

**გადაუდებელი დიაგნოსტიკა:**

**1. ვენების ულტრაბგერითი დუპლექსური სკანირება, რომლის დროსაც იზომება ვენის დიამეტრი, განისაზღვრება სისხლდენის სიჩქარე. ხშირად ულტრაბგერაზე შეიძლება დავინახოთ თავად თრომბი.**

**2. ფლებოგრაფია – ვენაში შეჰყავთ კონტრასტული ნივთიერება, რაც საშუალებას იძლევა რენტგენის სურათზე დავინახოთ ვენის აგებულება და განვსაზღვროთ მასში თრომბის არსებობა.**

**3. ანგიოგრაფია – რეკომენდებულია თრომბების დიაგნოსტიკისთვის თავის ტვინის სისხლძარღვებში.**

**გეგმური დიაგნოსტიკა**

**1. სისხლის ანალიზი ქოლესტერინზე.**

**2. კოაგულოგრამა (ანალიზი სისხლის შედედებაზე).**

**3. სისხლის ბიოქიმიური ანალიზი (დ – დიმერების მაღალი დონე – ღრმა ვენებისა და ფილტვების ემბოლიის თრომბოზის საკვანძო ინდოკატორია).**

**როგორ დავიცვათ თავი თრომბებისგან**

**1. მივდიოთ ცხოვრების აქტიურ წესს – ფიზიკური დატვირთვა აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას, წინააღმდეგობას უწევს სისხლის შეგუბებას, აუმჯობესებს ორგანიზმში გაცვლის პროცესებს.**

**2. ვიკვებოთ სწორად – რაციონის საფუძველს უნდა შეადგენდეს მცენარეული საკვები, რომელიც არ შეიცავს ქოლესტერინს.**

**3. არ დავუშვათ ორგანიზმის გაუწყლოება – სითხის უკმარისობა ზრდის სისხლის სიბლანტეს.**

**4. გაუფრთხილდით თავს – ტრავმები, ოპერაციები, ინფექციური დაავადებანი – თრომბების წარმოქმნის რისკის ფაქტორია.**

**5. გაიარეთ გეგმური გამოკვლევა**

# სიბერე იაპონურად

**ხანდაზმული ადამიანები წინმავალი ოჩოფეხებით ან საერთოდ ეტლებით, ჩვენს ქუჩებში დიდი იშვიათობაა. იაპონიაში ამით ვერავის გააკვირვებ. სავარძელს კი ნავიგატორით და საბორტო კომპიუტერით, რომელიც იაპონიის ერთ-ერთ ქალაქში ვნახე, თვალი ვერ მოვაშორე.**

**არის საჭირო დავაზუსტოთ, რომ ადამიანს ასეთ სატრანსპორტო საშუალებაში არ დასჭირდება სხვისი დახმარება?..**

როგორ გამოიყენოს ხანდაზმულმა ადამიანმა ისეთი „დახვეწილი" გაჯეტი (მოდური არასტანდარტული ტექნიკური მოწყობილობები), როგორიც კომპიუტერიზებული სავარძელია? „ის კი მთავად მარშივის სამართავად, – გვიხსნის ქალბატონი იაკი სუზუკი და უფრო მოხერხებულად მოქმედებს სავარძლით. – ლაპარაკით უკვეთავ მარშრუტს, ნავიგატორი მას უმალვე ხედავს. და მიდიხარ შენთვის სადაც გინდა". მართლაც, რა შეიძლება უფრო იყოს უფრო მარტივი? მათთვის, ვისაც ჯანმრთელობა და ასაკი ხელს უწყობს, შემუშავებულია უფრო იოლი საკუთარი ფეხით გადაადგილება, მაგრამ მეცნიერებმა მოიგონეს მოწყობილობა სეირნობისთვის. ის თვითმავალი ჯავს, მხოლოდ აქვს ორი ბორბალი და ორი სახელური, რათა უფრო მყარად იგრძნო თავი მასში. დგები საფეხურზე, იხრები წინ და ის თავისით მიდის; რაც მეტია დახრა, მით მაღალია სიჩქარე. რომ გაჩერდე, საკმარისია გადმოიხარო უკან.

სრულიად უსუსურებისთვის, რომლებიც მიჯაჭვული არიან საწოლებს, სამრეწველო მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში გააკეთეს ხელი – პროთეზი. ეს მოწყობილობა მაგრდება ინდივიდუალურ სავარძელზე. ის რომ მოქმედებაში მოიყვანო, საკმარისია შეეხო სენსორულ პანელს. ავადმყოფ ადამიანსაც ხომ სჭირდება ზოგჯერ მარტო დარჩენა, მიაწოდოს ის ნივთი თუ იატაკზე დაუვარდა და იქნებ მას უცებ დასჭირდეს წყლის დალევა სწორედ იმ დროს, როდესაც მასთან არავინაა? სხვა დეტალებში განსხვავებით, „ხელი" მთლიანად იაპონურია. ორი წლის შემდეგ აპირებენ მის წარმოებაში ჩაშვებას. ორიენტირებული ღირებულება – 800 ათასი იენია. მაგრამ მათ, ვისაც პროთეზი აუცილებლად სჭირდება, მიჰყიდიან დიდი ჩამოფასებით. წინააღმდეგ შემთხვევაში რა საჭიროა წარმოებაში გავუშვათ ის, რაც ხალხისთვის მიუწვდომელი იქნება, საუბრობენ დამმუშავებლები.

ხანდაზმული იაპონელები არ გრძნობენ თავს გარიყულებად, როდესაც აღარ მუშაობენ. შეიძლება მიზეზი იყო ის, რომ პენსიონერები – მოსახლეობის 25 პროცენტია. ან იქნებ იმიტომ, რომ შრომას ისინი წყვეტენ, როგორც წესი, 70 წლის ასაკში. და ამოისუნთქავენ ხოლმე დიდი შვებით, რომ ამის გაკეთება აღარ მოუწევთ. ამას გარდა, იაპონიაში გაჩნდა გაყრის ახალი სახეობა – პენსიაზე გასვლის შემდეგ. თუ უძრავი ქონება რაიმე მიზეზის გამო შეხვდა ერთ-ერთ მეუღლეს, მეორე გადადის სოციალურ საცხოვრებელ ადგილზე. პენსიას, რაც მათთვის მინიმალურად ითვლება, ღებულობენ 28 ათას იენს. სხვათა შორის, მაგალითად, ტოკიოში სოციალური საცხოვრებელი ადგილი ძალიან ბევრია და მათი უმეტესი ნაწილი ცარიელია. ამიტომ პენსიონერები გადადიან იქ საცხოვრებლად მუნიციპალიტეტში პირველი მიმართვის შემდეგ. საოჯახო ცხოველების თან წაყვანა არ შეიძლება. მაგრამ იაპონიაში გადაწყვიტეს ეს პრობლემაც, მოიფიქრეს სპეციალური რობოტი – სელაპი ანტიალერგიული ბეწვებით, რომელიც რეაგირებას ახდენს ხელის დასმაზე, შენობაში განათების შეცვლაზე და სასიამოვნო ხმების გამოცემაზე. მომავალი მეცნიერებისა და ინოვაციების ეროვნულ მუზეუმში ტოკიოში სელაპის მოფერება შეუძლია ყველა მსურველს. ამის გარდა იქ 600 იენად მოზარდებს და 200 იენად ბავშვებს 18 წლამდე ართობს მთელს მსოფლიოში სახელგანთქმული რობოტი ასიმო. დღის პირველ ნახევარში ის მართავს წარმოდგენას, ცეკვავს, თამაშობს ფეხბურთს და ლაპარაკობს კიდევაც. მის დამმუშავებლებს (სახელგანთქმული იაპონური საავტომობილო კონცერნი) განზრახული აქვთ კიდევ უფრო წინ წავიდეს და შექმნას თანაშემწე მეურნეობაში, მაგრამ ამისთვის უნდა ასწავლო რობოტს მგრძნობელობა.



მუზეუმის ყველაზე ექსტრავაგანტური ექსპონატი კი – ორმოცფეხას პატარა მოდელია დიდი ნესტოებით, რაც ნებისმიერი ავტომოყვარულის ოცნებაა. ასეთი ავტომობილისთვის არ არის საჭირო გზა, ბორბლები (თუმცა ბორბლები ორმოცი არა, სულ რაღაც რვაა) შეიცნობენ წინააღმდეგობას და თავად იწევიან სათანადო სიმაღლეზე. პრობლემა კი ის არის, რომ იაპონიაში უგზოობა არ არსებობს, ამიტომ იმედი გვაქვს, რომ სამუზეუმო ექსპონატს ოდესღაც გადააქცევენ საცდელ ნიმუშად ნატურალური სიდიდით და მერე დაბრკოლებები ნაკლებად შეგხვდებათ. იაპონელებს ხომ ორიენტაცია აღებული აქვთ პირველ რიგში იმის დამუშავებაზე, რასაც უსათუოდ გამოიყენებენ.

## ხანგრძლივი სიცოცხლის ბაქტერიები

**ამბობენ, რომ მეცნიერები ციმბირში ცდიან „ხანგრძლივი ცხოვრების ბაქტერიებს". ჩვენი კომენტარი: ასეთი ბაქტერია გამოყვეს მარადიული გამყინვარების მამონტის მთაზე იაკუტიაში რამდენიმე წლის წინათ. „ჩვენმა ცდებმა ცხოველებზე უკვე დაადასტურეს, რომ ამ მიკროორგანიზმს შეუძლია გავლენა იქონიოს სიცოცხლის ხანგრძლივობაზე, გვიამბობს ქიმიური ბიოლოგიისა და ფუნდამენტური მედიცინის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ნადეჟდა მირონოვა. – ეს ძველი ბაქტერია არ უშვებს უჯრედის არავითარ გენეტიკურ მუტაციას. ცხოველებს შეუყვანეს ბაქტერიები, შემდეგ კი მოახდინეს სიმსივნის იმპლანტაცია. აღმოჩნდა, რომ ბაქტერიამ დადებითი გავლენა მოახდინა იმუნიტეტის აქტივიზაციაზე". ადრე ტიუმენში ამგვარმა ცდებმა ბუზ დროზოფილებზე აჩვენა მწერების არსებითი სიცოცხლის ხანგრძლივობა.**

ეკატერინე ბიჩკოვა

ЗДОРОВЬЕ

ფეხბურთი

# ესპანეთი უპირველეს ყოვლისა!



**ორიოდე თვის წინათ, როცა „ბარსელონა“ ჩემპიონთა ლიგას გამოეთიშა, მისმა ერთმა თავგადაკლულმა ქომაგმა მითხრა: ნახე, თუ სამხრეთ აფრიკის მსოფლიო ჩემპიონატზე ესპანეთის ნაკრები ფუროს არ მოახდენსო.**

როცა ასეთი თამამი პროგნოზის გამოთქმის საფუძვლის განმარტება ვთხოვე, ისეთი ტონით მომიგო, თითქოს უკანასკნელი ინსტანციის ჭეშმარიტებას ღაღადებდა: კი მაგრამ, კატალონიურმა გრანდმა შარშან ხომ მოიგო ყველაზე პრესტიჟული საკლუბო ტურნირი. ჰოდა, წლეულს ვისენტე დელ ბოსკეს გუნდის ჯერია – მის ბირთვს ხომ სწორედ „ბროწეულისფერები“ შეადგენენო.



ალბათ, მიხვდით წაკითხულის ქვეტექსტს – თითქოს ხოსეპ გვარდიოლას შეგირდებში პატრიოტიზმმა გაიღვიძა და ორ ფრონტზე ბრძოლას სამშობლოს ინტერესებისთვის გარჯა ამჯობინესო.

რასაკვირველია, არსებობის უფლება ასეთ ვარაუდსაც აქვს, მაგრამ პირადად მე ვერ გავიზიარებ ორი არგუმენტის გამო. უპირველესად, ეჭვქვეშ ვერ დავაყენებ „ინტერის“ გამარჯვების კანონზომიერებას, თანაც, თუ ტიტულთან ნებაყოფლობით გამოთხოვებას აპირებდნენ, ამას მესი და კომპანია ნახევარფინალამდე განახორციელებდნენ, რათა ერთთვიანი ეგზოტიკური ფორუმის წინ ძალები დაეზოგათ. რაც შეეხება მეორე მიზეზს, იგი სპორტის ჩარჩოებს სცილდება და სიბინძურის სათავეს – პოლიტიკას უკავშირდება. მოგეხსენებათ, კატალონია, ბასკეთის მსგავსად, ესპანეთისგან გამოყოფას ლამობს, მეამბოხე რეგიონის ქვეშევრდომებს კი, არა მგონია, ასეთი მსხვერპლი გაეღოთ.

კი მაგრამ, გერმანიასთან ძლევამოსილად დასრულებული ნახევარფინალიო – იკითხავთ, ალბათ. დიდი სურვილი მაქვს, ამ თემაზე ამომწურავად გესაუბროთ, მაგრამ პირენეელებმა ისე გააბითურეს დისკვალიფიცირებული მიულერის გარეშე მოთამაშე მრისხანე მეტოქე, რომ თუ აღნიშნული უთანასწორო ბრძოლის პერიპეტიებს ჩავუღრმავდები, ვატყობ, წაქცეულის ჩაწიხლვა გამომივა. ამიტომ მოკლედ მოვჭრი: შეხვედრის ბედი მნიშვნელოვანწილად სამხრეთელთა მწვრთნელის ტაქტიკურმა ექსპერიმენტმა გადაწყვიტა, რომელმაც სათადარიგოთა სკამზე დასვა ოპტიმალური ფიზიკური კონდიციებიდან შორს მყოფი ტორესი და ძირითადი შემადგენლობა მეხუთე ნახევარმცველით პედრო როდრიგესით გააძლიერა. სწორედ ამ სარისკო ნაბიჯს უნდა მივაწეროთ, რომ „წითელმა არმადამ“ იოახიმ ლიოვის ნაამაგარ ბუნდესტიმს ბურთი დაუმალა და პუიოლის ზუსტი თავურის გარდა (73-ე წუთი) კიდევ არაერთხელ შეეძლო ნოიერის დამწუხრება – 1:0.

**გია პლატონიშვილი**

რაგბი

# ფინალისტები გამოვლინდნენ



**რამდენიმე დღეც და დამთავრდება საქართველოს მორაგბეთა თასის გათამაშება. 14 ივლისს ფინალში ერთმანეთს დაუპირისპირდებიან „ლელო“ და „ლოკომოტივი“.** ეს ცნობილი გახდა ნახევარფინალის განმეორებითი ორთაბრძოლების შემდეგ. მთავარი პრიზის მფლობელმა „ლელომ“ შინ ქუთაისის „აია“ დაამარცხა 19:12 (პირველი შეხვედრა სტუმრად 25:21 ჰქონდა მოგებული). რკინიგზელები ზღვისპირეთს ესტუმრნენ და ანგისას სტადიონზე „ბათუმი XV“-სთან გაარკვიეს მეორე ფინალისტის ვინაობა. „ლოკომოტივმა“ საკუთარ მოედანზე 9-ქულიანი სხვაობით (24:15) აჯობა აჭარელ მორაგბეებს, სტუმრად კი 12 ქულით (29:17) სძლია მეტოქეს.

ფუტსალი

# ჩეხეთში – 25 სექტემბრიდან



**უეფას შტაბბინაში ფუტსალის ლიგის საკვალიფიკაციო ძირითადი ეტაპების წილისყრა გაიმართა. საქართველოს ჩემპიონი „იბერია“ პირდაპირ ძირითადიდან ჩაებმება შეჯიბრებაში. IV ჯგუფში მასთან ერთად იასპარეზებენ ჩეხური „ხრუდიმი“, ბელარუსული „მაპიდი“ და საკვალიფიკაციო F ჯგუფის (უნგრეთის „დიორი“, ინგლისის „ჰელვეცია“, შვეიცარიული „კროაცია“ და ანდორის „ენკამპი“) გამარჯვებული.**

„იბერია“ შარშანდელი ტურნირის ელიტრაუნდში გავიდა და წლეულს, როგორც აღვნიშნეთ, ძირითად ჯგუფში იბრძოლებს 25 სექტემბრიდან 3 ოქტომბრამდე. პაექრობებს ჩეხეთი უმასპინძლებს ერთ წრედ. ორი საუკეთესო მომდევნო ეტაპზე გავა.

**ვაჟა დანელია**

ჩოგბურთი

# წყვილებს შემორჩნენ

**საფრანგეთის ქალაქი ბიარიცი ჩოგბურთელ ქალთა 100-ათასიან ტურნირს მასპინძლობს. საკვალიფიკაციოდან ძირითად ბადეში გააღწია სოფიო შაფათავამ, მაგრამ მეტი ვერ შეძლო: პირველი წრის შეხვედრა რუმინელ სიმონა ჰალეპთან 0:6, 1:6 წააგო, თუმცა რუს ელენა ჩალოვასთან ერთად წყვილთა თანრიგში განაგრძობს შეჯიბრებას.**



მსგავს სიტუაციაში აღმოჩნდა მანანა შაფაქიძე, რომელიც ბრიუსელის ტურნირში (საპრიზო ფონდი 10 ათასი დოლარი) მონაწილეობს. ერთეულთა თანრიგში ქართველი ჩოგბურთელი პირველსავე წრეში დამარცხდა ჰოლანდიელ ქოზან ვან ბენეკომთან – 3:6, 6:0, 3:6, სამაგიეროდ წყვილთა პაექრობაში სლოვაკ ქუქუნა ზლოხოვასთან ერთად სტარტზე წარმატებას მიაღწია და მთავარი პრიზისთვის იბრძოლებს.

ინტერნეტიდან

## „მომავალ ჩემპიონებთან დავმარცხდით“



**ასე განაცხადა ესპანეთის ნაკრებთან დამარცხების შემდეგ გერმანიის ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა იოჰიმ ლევმა.**

**„დარწმუნებული ვარ, რომ ესპანელები იქნებიან ჩემპიონატის გამარჯვებულნი“, – უთქვამს ინგლისისა და არგენტინის ნაკრებების დამამარცხებელი გუნდის დამრიგებელს, – ესპანელები ისე კარგად აკონტროლებდნენ ბურთს, რომ ჩვენ უბრალოდ ვერ შევძელით მათი დაწევა. ჩვენ დიდებულად ვთამაშობდით ტურნირზე, მაგრამ ამჯერად ყველაფერი კარგად როდი იყო, როგორც წინა მატჩებში“.**

გერმანელთა კაპიტანმა ფილიპ ლამმა მხარი დაუჭირა თავიანთ მწვრთნელს და დაამატა: ჩვენთვის თამაში ძალზე რთული გამოვიდა. ჩვენ ვიცოდით, რომ ესპანეთი გამარჯვების ფავორიტი იყო მთელ ჩემპიონატზე. ისინი ძალზე ძლიერნი არიან“.

გერმანელებს კიდევ ერთი მატჩის თამაში მოუწევთ სამხრეთ აფრიკაში. შაბათს ისინი მესამე ადგილისთვის ურუგვაის ნაკრებს შეხვდებიან.

## ფიდელ კასტრო უკმაყოფილოა

**კუბის ყოფილ ლიდერს ფიდელ კასტროს ფეხბურთში მსოფლიოს ჩემპიონატზე სამხრეთ ამერიკის ნაკრებების დამარცხების მთავარ მიზეზად მიკერძოებული მსაჯობა მიაჩნია, კერძოდ, ის უკმაყოფილოა იუიტი ნისამურას, როგორც მსაჯის იმპერიალისტური იაპონიიდან, მუშაობით.**



„გულშემატკივართა უდიდესმა ნაწილმა ისიც კი არ იცოდა, თუ სად მდებარეობს ურუგვაი. მიმაჩნია, რომ მსაჯები მიკერძოებით უდგებოდნენ გუნდებს სამხრეთ ამერიკიდან, – უთქვამს პრესისთვის კასტროს,– ეს კარგად გამოჩნდა, როდესაც ბრაზილია დამარცხდა ნიდერლანდებთან. იმ მატჩში მსაჯთა ყველა გადაწყვეტილება მათ წინააღმდეგ იყო. ორი ევროპული ნაკრების ფინალი უფერული და ისტორიულად არასწორი იქნება, რადგან ფეხბურთი მთელი მსოფლიოს საკუთრებაა“.

როგორც ჩანს, არგენტინის გუნდის დამარცხებამ საბოლოოდ გამოიყვანა მწყობრიდან კუბური რევოლუციის ბელადი, ის ხომ არგენტინის ნაკრების თავკაცის დიეგო მარადონას მეგობარია.

თუმცა მსოფლიო ჩემპიონატზე მსაჯობა ვილას არ გაამწარებდა?

## რა აკლია ლამაზმანს?!

**მართალია, პარაგვაელმა მოდელმა ლარისა რიკელმემ ვერ შეუსრულა იქაურ გულშემატკივრებს დანაპირები – ვერ გაშიშვლდა ჩემპიონატზე პარაგვაის ნაკრების გამარჯვებისთვის, მაგრამ, მოგეხსენებათ, ბურთი მრგვალია. თუმცა მშობლიური ნაკრების დამარცხების შემდეგ ლამაზმანზე მოთხოვნა უფრო გაიზარდა, თვით პოპულარულმა „პლეიბოიმაც“ კი მიაპყრო ყურადღება მომხიბვლელმკერდიან ქალიშვილს.**



სულ ახლახან ლამაზმანი დედიშობილად გადაიღეს ჟურნალისთვის Hombre. იგი უკვე მიწვეულია „პლეიბოიშიც“, თანაც ბრაზილიურ და ესპანურ რედაქციებში. თუმცა თავად რიკელმეს ჯერ არ უპასუხია.

ერთადერთი, რაც ჯერჯერობით რიკელმეს აკლია, რომელიმე ცნობილ ფეხბურთელთან სასწრაფო რომანია. არადა, მსოფლიო ჩემპიონატი ხომ ოთხ წელიწადში ერთხელაა!

## სარედაქციო ფოსტიდან

# თვალი ამიხილა, თავი დამანახვა

გინახავთ დედაქალაქის ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე „ავერსის“ კლინიკა? და თუ არა, როცა თვითონ ნახავთ, დარწმუნდებით, რომ დღეს საქართველოში მსგავსი ჯანმრთელობის კერა არ არსებობს. თავისი არქიტექტურული გადაწყვეტით, თანამედროვე მედტექნიკით... მაგრამ ყველაფერი ეს არაფერია, თუ არა მომსახურების დონე! ეს კი მეორე საოცრებაა! ამ მხრივ კლინიკაში განსაკუთრებით გამოკვეთილია ოფთოლმოლოგიის სამსახური (უფროსი გიორგი პეტრიაშვილიძ, სწორედ ბატონმა გიორგიმ ისე გამიკეთა კატარაქტის ოპერაცია მარჯვენა თვალში, რომ არც გამიგია!

ამასთან, ჩემი სეხნია მეტად გამორჩეული პიროვნებაც გახლავთ. მაგრამ ამაზე სხვა დროს.

ასევე ჩემი დიდი მადლობა ეკუთვნის თბილისის შეროზიას სახელობის ოფთოლმოლოგიის კლინიკას, მის უფროსს პროფესორ მანანა შეროზიას, რომელმაც დიდხანს მიმკურნალა, დამაკვალიანა და სწორ გზაზე დამაყენა.

**გიორგი ნაჭყებია,**
შრომის ვეტერანი
ქ. წალენჯიხა.

## ყველაფერი ყველაფერზე

### „ციურიხელი ჯუჯები“

**ასე ეძახიან ციურიხის უმსხვილესი ბანკების ადმინისტრაციულ საბჭოთა ხელმძღვანელებს. თავიანთი ზღაპრული „სეხნიების“ დარად ისინიც ფხიზლად დარაჯობენ ბანკების მიწისქვეშა საცავებში თავმოყრილ საარაკო სიმდიდრეს, რომელიც უზრუნველყოფს მათ არა მარტო ფინანსურ, არამედ პოლიტიკურ ზეგავლენასაც.**

ალპური რესპუბლიკის ფინანსური ძლევამოსილების ბირთვს „დიდი სამეული“ – „შვეიცარიის საბანკო საზოგადოება“, „შვეიცარიის საკრედიტო ინსტიტუტი“ და „შვეიცარიის საბანკო კავშირი“ – წარმოადგენს. თუმცა შვეიცარიულები – ისინი მხოლოდ სახელწოდებებით არიან – სინამდვილეში კი ეს გაერთიანებები სხვადასხვა ქვეყანაში უამრავი ფილიალისა და განყოფილების მქონე საერთაშორისო ბანკებს წარმოადგენენ. „ჯუჯები“ მოხერხებულად იყენებენ თავიანთ მომგებიან მდგომარეობას: შვეიცარიის ტრადიციული ნეიტრალიტეტს, მთელი მსოფლიოდან მომდინარე ფულის ნაკადებსა და მკაცრად დაცულ საბანკო საიდუმლოებას, რომელიც ნებისმიერ კლიენტზე ვრცელდება – იქნება ეს ყოფილი დიქტატორი თუ რიგითი სისხლის სამართლის დამნაშავე.




ამასთან, აღსანიშნავია, ოქროს ფლობაზე, ყიდვა-გაყიდვისა და შემოტანა-გატანაზე შვეიცარიაში არავითარი შეზღუდვა არ არსებობს.

### თქვენ რომელს ამჯობინებთ?

**ამერიკელი ფსიქოლოგის თომას ჰოსმერის აზრით, არსებობს ეთიკის ოთხი ძირითადი სისტემა.**

უტილიტარიზმი მხოლოდ იმ სიკეთეს ითვალისწინებს, რომელსაც მიღებული გადაწყვეტილება უმრავლესობას მოუტანს: უნივერსალიზმი უპირატესობას ადამიანის განზრახვათა სიწმინდეს ითვალისწინებს, ხოლო მისი საქციელის შედეგები ნაკლებად აინტერესებს; სამართლიანობის მაძიებლებს უმეტესად სიკეთის თანაბრად განაწილება ადარდებთ, თუმცა კი ავიწყდებათ, რომ თავად ბუნებას არ შეუქმნია ადამიანები ერთნაირები; მეოთხე ეთიკური სისტემის აპოლოგეტები კი ყველაფერს პირადულ თავისუფლებას ამჯობინებენ.

### „აბი გლუკოზა“ და... გამრავლების ტაბულა

**კალიფორნიის უნივერსიტეტის სამედიცინო ცენტრის მკვლევარები სწავლობენ დამოკიდებულებას... ადამიანის ეთიკურ წარმომავლობასა და წამლის მოქმედებას შორის. აღმოჩნდა, რომ ბიოლოგიურ საფუძველთან ერთად ექიმებმა ასევე აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ პაციენტის ინტელექტუალური განვითარების დონე და მისი სოციალური გარემო.**

ასე რომ, ვიდრე ექიმი პაციენტს „აბი გლუკოზას“ დაუნიშნავდეს, კარგი იქნება, თუ გამრავლების ტაბულის ცოდნასაც შეუმოწმებს.





### თქვენ გიყვართ სიდედრი?

**გავრცელებული აზრის მიუხედავად, მეუღლეს გაცილებული მამაკაცები ქალებზე მეტად განიცდიან „მოკვეთილ“ მეორე ნახევრებთან განშორებას.**

გაყრილ მეუღლეზე ხელმეორედ ქორწინების სურვილი გამოკითხული „ახალი ბერბიჭების“ 92 პროცენტმა (!ძ განაცხადა. ქალებში კი ამ მაჩვენებელმა 72 პროცენტი შეადგინა. არანაკლებ გასაკვირია გამოკითხვის მეორე შედეგი: ამერიკელ ქმართა 84 პროცენტმა განაცხადა, რომ უყვარს სიდედრი.

ინფორმაცია განსჯისთვის: ახალგაზრდა და შუახნის ასაკის ამერიკულ ოჯახთა 90 პროცენტი მშობლებისგან ცალკე ცხოვრობს.

### „ღორები“, „შტერები“ და „აგურები“

**ასე ეძახიან მთელი მსოფლიოს ფინანსისტები იმ ქვეყნებს, რომლებიც კრიზისს ვერ უმკლავდებიან.**

**ევროს კურსი ბოლო დროს განუხრელად ვარდება, ინვესტორებს სულ უფრო ნაკლებად სწამთ ევროკავშირისა და მისი ვალუტის მდგრადობისა. საქმე ის არის, რომ დეფოლტის, ანუ გაკოტრების საფრთხე ევროკავშირის ერთბაშად რამდენიმე წევრს ემუქრება. მათ შორის არიან პორტუგალია, ირლანდია, საბერძნეთი (Portugal, Ireland, Greece და Spain), და ესპანეთი, რომელთა სახელწოდებების პირველი ასოებისგან ეკონომისტებმა ერთობ საწყენი აბრევიატურა – PIGS (რაც ინგლისურად „ღორებს“ ნიშნავსძ – შეადგინეს.**




თუმცა ეკონომისტების მიერ ტერმინთა შეთხზვა ამით არ სრულდება, რადგან მსოფლიოში კიდევ მრავალი ქვეყანაა, რომელიც კრიზისის გამო ფინანსური კოლაფსის ზღვარზე აღმოჩნდა. ეკონომისტთა აზრით, სახელმწიფო ვალის სიდიდით მსოფლიო ლიდერები არიან ესპანეთი, თურქეთი, დიდი ბრიტანეთი, პორტუგალია და ერთ-ერთი საემირო დუბაი, რის შედეგად შეიქმნა კიდევ ერთი აბრევიატურა – Stapid (რაც ინგლისურად „შტერს“ ნიშნავსძ.

გარდა ამისა არის კიდევ ერთი აბრევიატურა – BRIK რაც „აგურს“ ნიშნავს. ეს ტერმინი ახალი მსოფლიო ეკონომიკის მშენებლობისთვის საშენ მასალას გულისხმობს და ბრაზილიის, რუსეთის, ინდოეთისა და ჩინეთის პირველი ასოების აბრევიატურას წარმოადგენს.

მოამზადა
**ოთარ ტურაბელიძემ**

## სამომავლოდ

### აფრენა საცობების თავზე

**ამბობენ, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში დაიწყეს მფრინავი ავტომობილების წარმოება გამოსაწევი ფრთებით. ჩვენი კომენტარი: „ფრთები მათ არ გამოეწევათ, არამედ ეკეცებათ, აღნიშნავს პორტალ „3 დნიუს“ წამყვანი ანალიტიკოსი სერგეი ვილიანოვი.** – ავტომობილის რეჟიმში ისინი ორმაგადაა შეკეცილი და მაღლაა აწეული. გახსნილ მდგომარეობაში უკავიათ მინიმუმ სამი, ზოგჯერ კი ოთხი ზოლიც მოძრაობისა. ასე რომ, გზატკეცილიდან თეორიულად შეიძლება აფრინდე, მაგრამ უმჯობესია მაინც აეროდრომზე. ფრენისთვის მძღოლმა უნდა მიიღოს ლიცენზია. მფრინავი მანქანის ფასი დაახლოებით 200 ათასი დოლარია, რაც ძნელად გახდის მას მასობრივად“.

### როგორ ვუყუროთ ტელევიზორს 3 D-ფორმატით?

**გავიგე, რომ დაიწყებენ ტელევიზორების გამოშვებას, რომლის მეშვეობითაც შეგვეძლება სპეციალური სათვალეების გარეშე ვუყუროთ გადაცემას 3 D-ფორმატით.**

საერთოდ, 3 D-ფორმატით ტელევიზორის ყურება შეიძლება უკვე ახლავე, გვაცნობა პროფესორმა სტანისლავ კლიმენკომ, მოსკოვის ფიზიკო-ტექნოლოგიური ინსტიტუტის კათედრის გამგემ, ვირტუალური რეალობის სისტემების დამუშავების სპეციალისტმა. იტალიაში, გერმანიასა და დიდ ბრიტანეთში მიმდინარეობს საცდელი ტელეტრანსლაციები სტერეოგამოსახულებით. სხვა საკითხია, რომ მათი ყურების სისტემა უსათვალოდ მაღალ ხარისხს არ იძლევა. და ყველა სიახლე, რამდენადაც ჩემთვის არის ცნობილი, ითვალისწინებს სათვალეების გამოყენებას. სტერეოტელევიზია როდის შემოვა ჩვენში, ძნელი სათქმელია.

## ინფორმაცია

### ცნობილი ფეხბურთელი – კრიმინალური სამყაროს წევრი

**ცნობილი ქართველი ფეხბურთელი, საქართველოს ნაკრების ყოფილი წევრი გიორგი დემეტრაძე დააკავეს. სამართალდამცავები მას ქურდული ტრადიციების მიმდევრობაში ადანაშაულებენ. დაკავებულია კიდევ ორი პირი - დავით გაგნიძე და კახა მისირელი. საქმეში ფიგურირებს კრიმინალური ავტორიტეტი ვატო ყიფიანიც.**

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, დაკავების დროს მათგან ამოღებულია ერთ-ერთი მოქალაქისაგან მიღებული 40 700 აშშ დოლარი, რომელიც მიმდინარე საფეხბურთო ჩემპიონატთან დაკავშირებით, ე.წ „მაზით“140 000 დოლარი მოგებული ჰქონდა დავით ფეიქრიშვილს.

აღნიშნული თანხის ამოსაღებად უკრაინიდან სატელეფონო საუბრებით ჩაერთო წარსულში ნასამართლევი ვატო ყიფიანი, რომელიც დაუკავშირდა თბილისში მყოფ დავით გაგნიძეს, გიორგი დემეტრაძეს და კახა მისირელს და მათი საშუალებით, ქურდული გარჩევებით ცდილობდა აღნიშნული თანხის ამოღებას და ნაწილის ე.წ. „ქურდულ ობშიაკში“ გადარიცხვას.

ვატო ყიფიანს მოგებული თანხის 30 000 დოლარი ამოღებული ჰქონდა უკრაინაში და ცდილობდა დარჩენილი თანხის, 40 700 დოლარის გადაცემას დავით ფეიქრიშვილისთვის, რა დროსაც მოხდა აღნიშნული პირების დაკავება.

კახა მისირელის პირადი ჩხრეკის შედეგად ამოღებულია ცეცხლსასროლი იარაღი, ხოლო ბინის ჩხრეკის შედეგად ამოღებულია: მაუზერის და იერიხოს ტიპის ცეცხლსასროლი იარაღები, ხელყუმბარა და საბრძოლო ვაზნები, ხოლო დავით გაგნიძის პირადი ჩხრეკისას ამოღებულია ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო ვაზნები. რადგან ვახტანგ ყიფიანი ამჟამად იმყოფება უკრაინაში მას დაუსწრებლად წარედგინა ბრალდება 223-ე პრიმა მუხლის 1-ლი ნაწილით. გამოძიებას აწარმოებს ქ.თბილისის მთავარი სამმართველო.

### გამგებელი ქრთამის აღების ფაქტზე დააკავეს

**ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის შიდა ქართლის სამმართველოს თანამშრომლებმა ქრთამის აღების ფაქტზე ხაშურის რაიონის მუნიციპალიტეტის დაბა სურამის გამგებელი თამაზ გვალია დააკავეს.**

**ამის შესახებ სამინისტროს საგამოძიებო სამსახურიდან იტყობინებიან.**

მათი ინფორმაციით, ასევე დაკავებულია ამავე ტერიტორიული ორგანოს სპეციალისტი გიორგი ხაჩიძე და სურამში მცხოვრები, მოქალაქე ჯემალ ხაჩიძე.

გამოძიების ინფორმაციით, თამაზ გვალიამ სხვადასხვა დროს მოქალაქეებზე არაერთგზის გასცა ყალბი ცნობა წიწვოვანი ხის ფიცრის შეძენის შესახებ. სანაცვლოდ კი დაბა სურამის გამგეობის თანამშრომლები გარკვეული ოდენობის თანხას ქრთამის სახით იღებდნენ.

ჯემალ ხაჩიძე, როგორც შუამავალი, აქტიურად იყო ჩართული კორუფციული სქემის განხორციელებაში. იგი საჯარო მოხელეებისათვის ე. წ. კლიენტებს შოულობდა და ქრთამისათვის განკუთვნილი თანხიდან თავადაც იღებდა გასამრჯელოს.

**ჯი-ეიჩ-ენი**

**საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის 1959 წლის კურსდამთავრებულები იუწყებიან, რომ გარდაეცვალათ თანაკურსელი**
**შოთა გიორგობიანი**
**და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს.**

## განცხადება

**მიმდინარე წლის 30 ივლისს ჩატარდება სს „ფოთი-მაცივარის“ აქციონერთა კრება, ქ. ფოთი, ლარნაკას №9, დღის 14 საათზე.**

**დღის წესრიგი:**

საკითხი №1. 2009 წლის სამეურნეო შედეგების განხილვის შესახებ;

საკითხი №2. სამეთვალყურეო საბჭოს არჩევნები.

**ადმინისტრაცია**

## მრავალსახეობა მსახიობისა



### ალენ დელონი კინაღამ ყასაბი გახდა

**ეს სიტყვები მკითხველს ნამდვილად გააცინებს. მართლაცდა, სად განთქმული მსახიობი, ფრანგული კინოს სიამაყე, ულამაზესი მამაკაცის სახელის მქონე და სად – ყასაბი! თუმცა ეს ხუმრობა სულაც არ გახლავთ: ყმაწვილი რომ იყო, განა ვინმე წარმოიდგენდა, რომ მსახიობის თვალისმომჭრელი კარიერა ელოდა. პირიქით, ცხოვრება ყოველნაირად უბიძგებდა, რომ რამეთი არ გამოეჩინა თავი.**

ბიჭი მშობლების გაყრის შემდეგ დაითარსა. ერთხანს პანსიონში სწავლობდა, მაგრამ ძალიან მოძრავი და ცელქი იყო, მასწავლებლების უკმაყოფილების გამო მთელი ხუთი სკოლა გამოიცვალა. ვერსად რომ ვერ გაჩერდა, მამინაცვალმა, ძეხვეულის მაღაზიის პატრონმა, ერთხანს შინ დააბრუნა, შემდეგ კი ყასბების სკოლაში უკრა თავი. შემდეგ დელონს უყვარდა თქმა, რომ ერთადერთია მსახიობთა შორის, რომელსაც შეუძლია ძეხვის სწორად დაჭრა და პაშტეტის მომზადება. თუმცა, საყასბოში მუშაობასთან ერთად, იმის საშუალებაც ჰქონდა, რომ დრო კრივისა და ველოსპორტისთვისაც დაეთმო. ყასაბი მაინც არ გამოვიდა. რათა ოჯახის კონტროლისთვის თავი დაეღწია, 17 წლისა არმიაში ჩაეწერა. ინდოჩინეთში ომიც მოელოდა, მაგრამ აქ ბედმა გაუღიმა – სანამ ადგილზე ჩავიდოდა, საფრანგეთი დამარცხდა და დელონმა თოფის ერთხელ გასროლაც ვერ მოასწრო. მარსელში რომ დაბრუნდა, უწესო საქციელისთვის (მთვრალმა ვიღაცის ჯიპი წაიყვანაძ არმიიდან გარიცხეს. შემდეგ იარაღის შენახვისთვის პოლიციამ დააპატიმრა და 45 დღე სამხედრო საპატიმროში აყურყუტეს. მერე მტვირთავად მუშაობდა, გაზეთებს ყიდდა. მარსელის „ფსკერზე“ დაშვებამდე ბევრი აღარაფერი უკლდა. ვის შეეძლო მაშინ ეთქვა, რომ კინოს ლეგენდად იქცეოდა და მთელ მსოფლიოს აალაპარაკებდა!

### მარტოხელა, ჩამოყალიბებული ინდივიდუალისტი

**70-იან წლებში მაყურებლებს შეექმნათ გარკვეული წარმოდგენა გმირზე, რომელსაც ალენ დელონი ანსახიერებდა. ეს იყო მარტოხელა, ჩამოყალიბებული ინდივიდუალისტი, ხან თავის ძალებში დარწმუნებული პოლიციელი, ხან მოუხელთებელი დამნაშავე, ანდა გამოუსწორებელი ეგოისტი.**

დიდად ნიჭიერ დელონს საკმარისი ძალა აღმოაჩნდა, რომ დაერღვია ეს „მონოლითი“, რომელსაც ეკრანზე „ალენის სახე“ ერქვა. მან ახალ-ახალი, დასამახსოვრებელი სახეები შექმნა. მისი გმირები ხშირად კრიტიკოსების გაღიზიანებას იწვევდნენ, მაგრამ დელონს, უკვე საკმაოდ შეძლებულ ადამიანს, ფარ-ხმალი არ დაუყრია, დააფინანსა რამდენიმე ფილმი,რომელთაც არავითარი შემოსავალი არ მოუტანიათ, მაგრამ მის იდეებს კი შეიცავდნენ. ეს კი უკვე შემოქმედის თვალსაჩინო წარმატება იყო.

### ყველაფერი ტრიუმფით დამთავრდა

**1991 წლის გაზაფხულზე საფრანგეთის პრეზიდენტის რეზიდენციაში, ელისეს სასახლეში, გაიმართა ჯილდოების გადაცემის მორიგი ცერემონია. ალენ დელონმა მიიღო ის, რაზეც მრავალი წლის განმავლობაში ოცნებობდა – საპატიო ლეგიონის ორდენის რაინდის ჯვარი. ეს უკვე პროგრამის დამაგვირგვინებელი ნაწილი იყო.**



მსახიობმა გააქტიურა თავისი საქველმოქმედო საქმიანობა, ხელს უწყობს ახალგაზრდების დაწინაურებას, დიდი როლი ითამაშა მომღერალ პატრისია კაასის წინსვლაში. ძალიან წარმატებული ბიზნესმენი გამოდგა. მისი კომპანია „დელონ დაფუზიონი“ რეგისტრირებულია ჟენევაში, აწარმოებს სულ სხვადასხვანაირ პროდუქციას, რომელიც 90 ქვეყანაში ვრცელდება. ესენია ტანისამოსი, ნელსაცხებელი, საათები, ავეჯი, ჰალსტუხი, სათვალეები. კომპანიის საქმიანი აქტივობა წელიწადში 300 მილიონ გირვანქა სტერლინგს შეადგენს.

რა თქმა უნდა, ალენ დელონს ასაკი ერევა (იგი დაიბადა 1935 წლის 8 ნოემბერსძ, მაგრამ ჯერ კიდევ დარწმუნებულია თავის ძალებში. „მე მსახიობი ვარ. 90-ზე მეტ ფილმში ვითამაშე. მეტად მნიშვნელოვანი და საყვარელი საქმით ვარ დაკავებული. სხვათა ცხოვრებით იმდენი ვიცხოვრე, რომ დაბერების დროც კი არა მქონდა... თქვენ შეგიძლიათ გიყვარდეთ ან თუნდაც გძულდეთ, მაგრამ გულცივად არავის დაგტოვებთ. მე მირჩევნია მოვკვდე, როგორც ლომი, ვიდრე ცხვარივით ვიცხოვრო“.

### სილამაზემ იხსნა

**მოხდა ისე, რომ ალენ დელონს ყურადღება მიაქცია ბრიჯიტ ობერმა, რომელიც წარმატებით იწყებდა თავის სამსახიობო კარიერას. 1957 წლის მაისში ობერმა იგი კანის ფესტივალზეც კი დაპატიჟა. იქ იგი ძალიან მოეწონა ჰოლივუდელ რეჟისორ ჰარი ვილსონს, რომელსაც „ტალანტებზე მონადირის“ სახელი ჰქონდა. მან პირველმა შეამჩნია მეტისმეტად მომხიბლავი, ლურჯთვალება ახალგაზრდა. ცდებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.**

„კამერის პირდაპირ პირველად როცა აღმოვჩნდი, არც შევმკრთალვარ, არც შიში მიგრძვნია. ვიფიქრე, ბოლოს და ბოლოს ვიპოვე ის, რასაც ამდენ ხანს ვეძებდი“, – ვილსონმა დელონს ჰოლივუდთან მრავალწლიანი კონტრაქტი შესთავაზა, მაგრამ ახალგაზრდა კაცმა იფიქრა, იფიქრა და სწორი გადაწყვეტილება მიიღო. ენა არ იცოდა, აშშ-ში არც რაიმე კავშირი ჰქონდა და რა უნდა გაეწყო. ამას საფრანგეთში კარიერის დაწყება სჯობდა.

დელონის საუკეთესო ფილმებს რა ჩამოთვლის. მან ხომ მთელ მსოფლიოში გაითქვა სახელი.

მოამზადა **გივი გამრეკელმა**

## დღის კალენდარი — 9 ივლისი

ხსენება ღირსისა დავით თესალონიკელისა (დაახლ. 540ძ; ღირსისა იოანესი, გუთელი ეპისკოპოსისა (დაახლ., 770-790ძ; ტიხვინის ღმრთისმშობლის ხატისა (1383ძ.



ამოდის 04.35
ჩადის 19.37

ამოდის 01.43
ჩადის 17.34

### დაიბადნენ:

1845 – **ჯორჯ დარვინი,** ინგლისელი ასტრონომი, ჩარლზ დარვინის მეორე ვაჟი. გარდაიცვალა 1912 წელს.
1898 – **მარსელ დელანუა,** ფრანგი კომპოზიტორი. გარდაიცვალა 1962 წელს.
1907 – **ანდრო ლომიძე,** მწერალი. გარდაიცვალა 1988 წელს.
1933 – **ნოდარ გაბუნია,** კომპოზიტორი. გარდაიცვალა 2000 წელს.

### გარდაიცვალნენ:

ჩვ.წ.აღ-მდე 399 – **სოკრატე,** დიდი ბერძენი ფილოსოფოსი, პლატონის მასწავლებელი.
1440 – **ჟან ვან დეიკი,** ფლამინდიელი მხატვარი.
1856 – **ამედეო ავოგადრო,** ფიზიკოსი, მოლეკულური ფიზიკის ერთ-ერთი მთავარი კანონის ავტორი.

### მოვლენები:

**1900 წელი** – ავსტრალიამ კონსტიტუცია მიიღო.
**1906 წელი** – დაიშალა რუსეთის პირველი სახელმწიფო სათათბირო.
**1957 წელი** – აღმოაჩინეს მენდელეევის სისტემის 102-ე ელემენტი.

**ღირსსახსოვარი დღეები:**
**არგენტინა** – დამოუკიდებლობის დღე.
**პანამა** – წამებულთა დღე.

მედიანიუსი

## წერილი რედაქციას

### 1959 წელი და არა 1995...

ჩემს პუბლიკაციაში – „დიდი მოძღვრის ღირსეული შეგირდი“ („სრ“, 7 ივლისიძ, რომელიც ეხებოდა აკადემიკოს თეიმურაზ იოსელიანს, დიდად დასანანად, რამდენიმე უზუსტობა გაიპარა.

მეორე სვეტის მეორე აბზაცში უნდა იყოს ტერმინი „პერიკარდიუმი“ ნაცვლად „პერკადიუმისა“.

მესამე აბზაცში, თარიღის დასახელებისას, 1959 წელი უნდა იყოს 1995 წლის ადგილას: კიევში, მიკროელექტროდული ტექნიკის ასათვისებლად 30 წლის ახალგაზრდა მკვლევარი გაემგზავრა და გახდა კიდევაც საქართველოში ნერვული სისტემის მიკროელექტროდული კვლევის პიონერი, როგორც ამას გამოჩენილი სპეციალისტები აღნიშნავენ. 1995-ში თეიმურაზ იოსელიანი 12 წლის „სტაჟიანი“ აკადემიკოსი გახლდათ...

მკითხველსა და ბატონ თეიმურაზს ბოდიშს ვუხდი დაშვებული უზუსტობებისათვის.

პატივისცემით **თამაზ ებანოიძე**

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 99-62-77; 899 32-85-76.

## კადრი




## ანეკდოტები

– რა პროფესიისა ხართ?
– ექიმი ვარ!
– რატომ არ მუშაობთ?
– ჯანმრთელობას ვუფრთხილდები!
– ვისას?

* * *

– ამბობენ, სტაფილო კარგი საშუალებაა ფაღარათის დროსო.
– ერთი რამ ვერ გამიგია, როგორ უნდა გამოვიყენო?

* * *

– ქალიშვილო, მოდით საუნაში ერთად წავიდეთ, ვიბანაოთ!
– არ წამოვალ! თქვენ მე იმნაირი ხომ არ გგონივართ?
– როგორი? – ხომ ბანაობთ ხოლმე?!

* * *



პესიმისტებს მიაჩნიათ, რომ საქართველოში ყველაფერი გაყიდულია.
ოპტიმისტები თვლიან, რომ გასაყიდი კიდევ ბევრია.

* * *

ზოოპარკში მაიმუნის გალიასთან შავგვრემანი ქალი დიდხანს დგას. მასთან მეორე მიდის და ეკითხება:
– აქ რატომ დგახარ?
– ველოდები, მაიმუნი როდის იქცევა ადამიანად.
– სულელო, მაგას ხომ მთელი წლის ლოდინი დასჭირდება?

* * *

– დედა, დედა, იცი, როგორი ანეკდოტი ვისწავლე!..
– აბა, მომიყევი.
– არა, დედა, მე ასეთი ანეკდოტისთვის ჯერ ძალზე პატარა ვარ.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.